

**შპს „წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის
მრავალპროფილიანი კლინიკური საავადმყოფო“**

ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
სრული შემოსავლების ანგარიშგება	7
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	8
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება (პირდაპირი მეთოდი)	9
ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	10

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის მრავალპროფილიანი კლინიკური საავადმყოფო“-ს მფლობელებს და ხელმძღვანელობას:

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი შპს „წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის მრავალპროფილიანი კლინიკური საავადმყოფო“-ს (შემდეგში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების, რომელიც შედგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ამავე თარიღში დამთავრებული წლის სრული შემოსავლის, საკუთარი კაპიტალის ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნებისგან, რომელთა შორისაა ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძვლის აბზაცში აღწერილი საკითხების შესაძლო გავლენის გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მის ფინანსურ საქმიანობას საკუთარი კაპიტალის ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობას აღნიშნულ თარიღში დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ მიგვაჩნია, რომ საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში არსებობდა მოძრავი ძირითადი საშუალებების გაუფასურების ინდიკატორები, რაც უნდა გამხდარიყო გაუფასურების ტესტის ჩატარების მიზეზი. კომპანიას არ განუხორციელებია აქტივების გაუფასურების ტესტი, შედეგად, ვერ დავადგინეთ, რამდენად არსებობდა კორექტირებების საჭიროება აღრიცხულ ან აღურიცხავ მოძრავ ძირითად საშუალებებთან დაკავშირებით და შესაბამისად სრული შემოსავლების ანგარიშგებაში მოძრავი ძირითადი საშუალებების ცვეთასთან დაკავშირებით. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოძრავი ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება შეადგენს 4,353,772 ლარს. ზემოთ ხსენებული გარემოება მიუთითებს შიდა კონტროლის სისტემების სისუსტესა და ხარვეზზე.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილია მუხლი „მიღებული სესხები“ 2023 წელს 7,495,135 ლარის ოდენობით. მტკიცებულებების მოპოვების შედეგად დადგინდა, რომ სესხის საბალანსო ღირებულება არსებითად განსხვავდება იმ ღირებულებისგან, რომლითაც წარმოდგენილი უნდა იყოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა მიღებულმა მტკიცებულებებმა ვერ ახსნა გამოვლენილი სხვაობების მიზეზი. შესაბამისად, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ იმ შესაბამისი თანხების სიდიდე, რომლითაც დაკორექტირდებოდა მიღებული სესხების საბალანსო ღირებულება და ფინანსური ანგარიშგების სხვა მუხლები.

საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისთვის კომპანიას არ განუხორციელებია დებიტორულ დავალიანებებთან დაკავშირებული საეჭვო მოთხოვნების რეზერვის კალკულაცია. ამასთანავე, სუბიექტმა ვერ მოგვანოდა ფიზიკური პირების ერთიანი რეესტრი, სადაც შესაძლებელი იქნებოდა არსებული დებიტორული დავალიანების იდენტიფიცირება მომხმარებლების მიხედვით. აქედან გამომდინარე, ჩვენ ვერ დავადასტურეთ კონკრეტული ფიზიკური პირების მიმართ არსებული დებიტორული დავალიანება. ზემოთ ხსენებული გარემოება მიუთითებს შიდა კონტროლის სისტემების სისუსტესა და ხარვეზზე.

საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისთვის კომპანიას არ ჩაუტარებია მარაგების ინვენტარიზაცია, შესაბამისად ჩვენ ვერ დავაკვირდით კომპანიის მარაგების ინვენტარიზაციას საანგარიშგებო წლის ბოლოს. ჩვენ ალტერნატიული გზებითაც ვერ მოვახერხეთ მოგვეპოვებინა საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული მარაგების ოდენობისა და მდგომარეობის შესახებ, რომელიც 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილია 2,455,415 ლარით. აღნიშნული გავლენას ახდენს 2023 წლის ოპერაციების ფინანსური შედეგებისა და ფულადი ნაკადების განსაზღვრაზე. შესაბამისად, ჩვენ ვერ განვასაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი მარაგების ნაშთზე და შესაბამისი სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგების შესაბამის ელემენტებში 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის.

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობები ფინანსური ანგარიშგების აუდიტისთვის“.

ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ მოთხოვნებთან და ამასთანავე, ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს.

ჩვენი აზრით, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულება შესაბამისია და საკმარის საფუძველს იძლევა ჩვენი პირობითი მოსაზრების წარმოსადგენად.

კომპანიის 2023 წლის წლიურ ანგარიშში ასახული სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს კომპანიის მმართველობის ანგარიშგებას 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებითად თანხვედრილი და მარეგულირებელ ნორმატიულ აქტების მოთხოვნებთან შესაბამისობაში, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციიდან გამომდინარე.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობაა ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის განცხადება. ამასთან დაკავშირებით არაფერი გვაქვს განსაცხადებელი.

ჩვენი აზრით, აუდიტის პროცესში ჩატარებული სამუშაოების საფუძველზე, კომპანიის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- თანხვედრილია 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მიერ მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

მენეჯმენტის და ფინანსური ანგარიშების მართვაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობები

მენეჯმენტი პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების და იმ შიდა კონტროლის შესაბამისად, რასაც მენეჯმენტი ჩათვლის საჭიროდ ფინანსური ანგარიშგების მატერიალური შეცდომების გარეშე მოსაშვადებლად, იქნება ეს განზრახ თუ უნებლიედ გამოწვეული.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასა და ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობები ფინანსური ანგარიშგების აუდიტისთვის

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგები მთლიანად თავისუფალია უნებლიე თუ განზრახ დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან, და გავცეთ აუდიტის დასკვნა, სადაც მოცემულია ჩვენი მოსაზრება. გონივრული მტკიცებულება არის მტკიცებულების მაღალი დონე, მაგრამ არ არის გარანტია, რომ ასს-ს შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის აღმოაჩენს არსებით ცდომილებას, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ცდომილება შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის გამო და მიიჩნევა არსებითად, თუკი მოსალოდნელია, რომ ერთობლივად ან ცალ-ცალკე, გავლენას იქონიებს მომხმარებელთა მიერ აღნიშნულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე.

როგორც აუდიტის ნაწილი ასს-თან შესაბამისად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიონალურ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიონალურ სკეპტიციზმს აუდიტის განმავლობაში. ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების განზრახ ან უნებლიედ დაშვებული არსებითი ცდომილების რისკებს, აღნიშნული რისკების საპასუხოდ შევიმუშავებთ და ვასრულებთ აუდიტის პროცედურებს და მოვიპოვებთ ჩვენი მოსაზრებისათვის საკმარის საფუძველს და შესაბამის აუდიტის მტკიცებულებას. თაღლითობისგან წარმოშობილი არსებითი ცდომილების აღმოუჩენლობის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომის შედეგად წარმოშობილი არსებითი ცდომილებისა, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, არასწორ ინტერპრეტაციას ან შიდა კონტროლის მექანიზმების დარღვევას/უარყოფას;
- გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისობა და სააღრიცხვო შეფასებების და მენეჯმენტის მიერ მათთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნების გონივრულობის შეფასება.
- სააღრიცხვო მიზნებისათვის მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი სანარმოს დაშვების გამოყენების შესაბამისობის შეფასება და მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულების საფუძველზე, აზრის გამოთქმა არსებობს თუ არა მნიშვნელოვანი უზუსტობა იმ მოვლენებსა და პირობებთან დაკავშირებით, რომლებმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის ფუნქციონირებადი სანარმოს სტატუსი.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგებების ზოგად წარმოდგენას, სტრუქტურას და შინაარსს, ახსნა განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით. თუ რამდენად სამართლიანად ასახავს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები იმ ტრანზაქციებს და მოვლენებს, რომელთა საფუძველზეც მოხდა მათი მომზადება.

სხვა საკითხების განხილვა მენეჯმენტთან არ მომხდარა.

ჩვენ ასევე მივანოღეთ მენეჯმენტს განცხადება, რომ ვაკმაყოფილებთ შესაბამის ეთიკურ მოთხოვნებს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით და მივანოღეთ ინფორმაცია ყველა კავშირზე და საკითხზე, რაც შესაძლოა ჩაითვალოს ჩვენი დამოუკიდებლობის საკითხისთვის მნიშვნელოვნად.

აუდიტის გარიგების პარტნიორი, რომელმაც შეადგინა წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის პირობითი მოსაზრება, არის ზვიად ბალახაშვილი.

ზვიადი ბალახაშვილი

შპს „აუდიტექსი“

თბილისი, საქართველო

30 სექტემბერი, 2024 წელი

აუდიტორის პასუხისმგებლობები ფინანსური ანგარიშგების აუდიტისთვის

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშები მთლიანად თავისუფალია უნებლიე თუ განზრახ დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან, და გავცეთ აუდიტის დასკვნა, სადაც მოცემულია ჩვენი მოსაზრება. გონივრული მტკიცებულება არის მტკიცებულების მაღალი დონე, მაგრამ არ არის გარანტია, რომ ასს-ს შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის აღმოაჩენს არსებით ცდომილებას, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ცდომილება შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის გამო და მიიჩნევა არსებითად, თუკი მოსალოდნელია, რომ ერთობლივად ან ცალ-ცალკე, გავლენას იქონიებს მომხმარებელთა მიერ აღნიშნულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე.

როგორც აუდიტის ნაწილი ასს-თან შესაბამისად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიონალურ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიონალურ სკეპტიციზმს აუდიტის განმავლობაში. ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების განზრახ ან უნებლიედ დაშვებული არსებითი ცდომილების რისკებს, აღნიშნული რისკების საპასუხოდ შევიმუშავეთ და ვასრულებთ აუდიტის პროცედურებს და მოვიპოვებთ ჩვენი მოსაზრებისათვის საკმარის საფუძველს და შესაბამის აუდიტის მტკიცებულებას. თაღლითობისგან წარმოშობილი არსებითი ცდომილების აღმოუჩენლობის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომის შედეგად წარმოშობილი არსებითი ცდომილებისა, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, არასწორ ინტერპრეტაციას ან შიდა კონტროლის მექანიზმების დარღვევას/უარყოფას;
- გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისობა და სააღრიცხვო შეფასებების და მენეჯმენტის მიერ მათთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნების გონივრულობის შეფასება.
- სააღრიცხვო მიზნებისათვის მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი სანარმოს დაშვების გამოყენების შესაბამისობის შეფასება და მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულების საფუძველზე, აზრის გამოთქმა არსებობს თუ არა მნიშვნელოვანი უზუსტობა იმ მოვლენებსა და პირობებთან დაკავშირებით, რომლებმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის ფუნქციონირებადი სანარმოს სტატუსი.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგებების ზოგად წარმოდგენას, სტრუქტურას და შინაარსს, ახსნა განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით. თუ რამდენად სამართლიანად ასახავს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები იმ ტრანზაქციებს და მოვლენებს, რომელთა საფუძველზეც მოხდა მათი მომზადება.

სხვა საკითხების განხილვა მენეჯმენტთან არ მომხდარა.

ჩვენ ასევე მივანოდეთ მენეჯმენტს განცხადება, რომ ვაკმაყოფილებთ შესაბამის ეთიკურ მოთხოვნებს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით და მივანოდეთ ინფორმაცია ყველა კავშირზე და საკითხზე, რაც შესაძლოა ჩაითვალოს ჩვენი დამოუკიდებლობის საკითხისთვის მნიშვნელოვნად.

აუდიტის გარიგების პარტნიორი, რომელმაც შეადგინა წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის პირობითი მოსაზრება, არის ზეიად ბალახაშვილი.

ზეიადი ბალახაშვილი

შპს „აუდიტექსი“

თბილისი, საქართველო

30 სექტემბერი, 2024 წელი

შპს „წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის მრავალპროფილიანი კლინიკური საავადმყოფო“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები გამოხატულია ლარში

	შენ.	31-დეკ-2023	31-დეკ-2022
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტი	5	206,918	573,501
დებიტორული დავალიანება	6	6,483,257	5,422,668
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	7	2,455,415	2,428,440
ძირითადი საშუალებები	8	20,062,011	19,911,375
არამატერიალური აქტივები		5,830	5,830
სხვა მოთხოვნები	9	2,010,375	1,146,586
სხვა აქტივები		5,075	4,974
სულ აქტივები		31,228,882	29,493,374
ვალდებულებები			
კრედიტორული დავალიანება	10	2,422,792	1,439,214
მიღებული სესხები	11	7,495,135	4,620,306
გადასახდელი ხელფასები	12	1,224,846	1,227,154
საგადასახადო ვალდებულება	13	948,015	725,057
სხვა ვალდებულება	14	644,608	518,276
სულ ვალდებულებები		12,735,395	8,530,006
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	15	4,323,520	4,323,520
გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი)		(12,643)	2,457,238
ძირ. საშუალებების გადაფასების რეზერვი	16	14,182,610	14,182,610
სულ კაპიტალი		18,493,487	20,963,368
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		31,228,882	29,493,374

დირექტორი:
გიორგი გოგოლაშვი

ბუღალტერი:
დავით შევარდნაძე

30 სექტემბერი, 2024 წ.

თბილისი, საქართველო

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები გვერდებზე 10-32 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 3-5.

შპს „წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის მრავალპროფილიანი კლინიკური საავადმყოფო“
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 თანხები გამოხატულია ლარში

	შენ.	31-დეკ-2023	31-დეკ-2022
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტი	5	206,918	573,501
დებიტორული დავალიანება	6	6,483,257	5,422,668
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	7	2,455,415	2,428,440
ძირითადი საშუალებები	8	20,062,011	19,911,375
არამატერიალური აქტივები		5,830	5,830
სხვა მოთხოვნები	9	2,010,375	1,146,586
სხვა აქტივები		5,075	4,974
სულ აქტივები		31,228,882	29,493,374
ვალდებულებები			
კრედიტორული დავალიანება	10	2,422,792	1,439,214
მიღებული სესხები	11	7,495,135	4,620,306
გადასახდელი ხელფასები	12	1,224,846	1,227,154
საგადასახადო ვალდებულება	13	948,015	725,057
სხვა ვალდებულება	14	644,608	518,276
სულ ვალდებულებები		12,735,395	8,530,006
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	15	4,323,520	4,323,520
გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი)		(12,643)	2,457,238
ძირ. საშუალებების გადაფასების რეზერვი	16	14,182,610	14,182,610
სულ კაპიტალი		18,493,487	20,963,368
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		31,228,882	29,493,374

დირექტორი:
 გიორგი გოგოლაშვი

ბუღალტერი:
 დავით შვეარდნაძე



30 სექტემბერი, 2024 წ.

თბილისი, საქართველო

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები გვერდებზე 10-32 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.
 დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 3-5.

შპს „წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის მრავალპროფილიანი კლინიკური საავადმყოფო“
სრული შემოსავლების ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები გამოხატულია ლარში

	შენ.	2023 წელი	2022 წელი
შემოსავლები სამედიცინო მომსახურებიდან	17	13,510,381	10,169,417
მედიკამენტები და სხვა დაკავშირებული ხარჯი	18	(3,548,550)	(2,477,281)
საიჯარო შემოსავლები		186,713	96,288
შემოსავლები საგანმანათლებლო მომსახურებიდან	19	1,716,155	765,400
სხვა შემოსავლები	20	246,041	415,074
შრომის ანაზღაურების ხარჯი		(10,462,497)	(7,767,091)
საპროცენტო ხარჯი		(416,261)	(224,199)
კომუნალური ხარჯი	21	(803,331)	(776,047)
სამეურნეო ხარჯი		(132,617)	(143,090)
ცვთვის ხარჯი	8	(1,117,465)	(796,603)
რემონტის ხარჯი		(726,094)	(239,024)
სხვა ხარჯები	22	(877,244)	(423,145)
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი)	23	(45,113)	766,426
მოგება დაბეგვრამდე		(2,469,882)	(633,876)
მოგების გადასახადი		-	-
პერიოდის მოგება/(ზარალი)		(2,469,882)	(633,876)
წმ. სხვა სრული შემოსავალი, რომლის შემდეგ პერიოდებზე მოგებად ან ზარალად რეკლასიფიცირებაც არ ხდება		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		(2,469,882)	(633,876)

დირექტორი:
გიორგი გოგოლაძე

ბუღალტერი:
დავით შვეარდნაძე

30 სექტემბერი, 2024 წ.
 თბილისი, საქართველო

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები გვერდებზე 10-32 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.
 დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 3-5.

შპს „წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის მრავალპროფილიანი კლინიკური საავადმყოფო“
 სრული შემოსავლების ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 თანხები გამოხატულია ლარში

	შენ.	2023 წელი	2022 წელი
შემოსავლები სამედიცინო მომსახურებიდან	17	13,510,381	10,169,417
მედიკამენტები და სხვა დაკავშირებული ხარჯი	18	(3,548,550)	(2,477,281)
საიჯარო შემოსავლები		186,713	96,288
შემოსავლები საგანმანათლებლო მომსახურებიდან	19	1,716,155	765,400
სხვა შემოსავლები	20	246,041	415,074
შრომის ანაზღაურების ხარჯი		(10,462,497)	(7,767,091)
საპროცენტო ხარჯი		(416,261)	(224,199)
კომუნალური ხარჯი	21	(803,331)	(776,047)
სამეურნეო ხარჯი		(132,617)	(143,090)
ცვეთის ხარჯი	8	(1,117,465)	(796,603)
რემონტის ხარჯი		(726,094)	(239,024)
სხვა ხარჯები	22	(877,244)	(423,145)
კურსთამორის სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი)	23	(45,113)	766,426
მოგება დაბეგვრამდე		(2,469,882)	(633,876)
მოგების გადასახადი		-	-
პერიოდის მოგება/(ზარალი)		(2,469,882)	(633,876)
წმ. სხვა სრული შემოსავალი, რომლის შემდეგ პერიოდებზე		-	-
მოგებად ან ზარალად რეკლასიფიცირდება არ ხდება		(2,469,882)	(633,876)
წლის მთლიანი სრული შემოსავალი			

დირექტორი:
 გიორგი გოგოლაძე

ბუღალტერი:
 დავით შევარდნაძე

30 სექტემბერი, 2024 წ.
 თბილისი, საქართველო



ახსნა-განმარტებითი შენიშვნები გვერდებზე 10-32 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.
 დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 3-5.

შპს „წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის მრავალპროფილიანი კლინიკური საავადმყოფო“
 კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 თანხები გამოხატულია ლარში

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული მოგება/(ზარალი)	ძირ. საშუალებების გადაფასების რეზერვი	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისათვის	4,323,520	3,091,114	14,182,609	21,597,243
წმინდა მოგება/(ზარალი)	-	(633,876)	-	(633,876)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისათვის	4,323,520	2,457,238	14,182,609	20,963,368
წმინდა მოგება/(ზარალი)	-	(2,469,882)	-	(2,469,882)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრისათვის	4,323,520	(12,643)	14,182,609	18,493,486

დირექტორი:
 გიორგი გოგოლაშვი

ბუღალტერი:
 დავით შევარდნაძე

30 სექტემბერი, 2024 წ.
 თბილისი, საქართველო

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები გვერდებზე 10-32 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.
 დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 3-5.


შპს „წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის მრავალპროფილიანი კლინიკური საავადმყოფო“
 კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 თანხები გამოხატულია ლარში

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული მოგება/(ზარალი)	ძირ. საშუალებების გადაფასების რეზერვი	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისათვის	4,323,520	3,091,114	14,182,609	21,597,243
წმინდა მოგება/(ზარალი)	-	(633,876)	-	(633,876)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისათვის	4,323,520	2,457,238	14,182,609	20,963,368
წმინდა მოგება/(ზარალი)	-	(2,469,882)	-	(2,469,882)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრისათვის	4,323,520	(12,643)	14,182,609	18,493,486

დირექტორი:
 გიორგი გოგოლაშვი

ბუღალტერი:
 დავით შევარდნაძე

30 სექტემბერი, 2024 წ.
 თბილისი, საქართველო



შპს „წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის მრავალპროფილიანი კლინიკური საავადმყოფო“
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება (პირდაპირი მეთოდი)
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები გამოხატულია ლარში

ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	2023 წელი	2022 წელი
შემოსავლები სამედიცინო მომსახურებიდან	12,059,517	9,732,626
შემოსავლები საგანმანათლებლო მომსახურებიდან	855,150	780,832
საიჯარო შემოსავალი	115,032	6,700
საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯებისთვის გადახდილი თანხები	(5,129,201)	(4,707,327)
გადახდილი საბიუჯეტო გადასახადები	(2,213,392)	(1,550,452)
გადახდილი შრომის ანაზღაურება	(7,763,086)	(5,769,379)
სხვა საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები	725,027	208,484
სხვა საოპერაციო საქმიანობაში გადახდილი ფულადი სახსრები	(376,265)	(96,812)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	(1,727,217)	(1,395,329)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირ. საშუალებების შესაძენად გადახდილი თანხა	(977,512)	-
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(977,512)	-
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
მიღებული სესხები	4,520,999	1,031,141
სესხის დაფარვა	(2,137,741)	(621,598)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	2,383,258	409,543
საკუროს სხვაობის გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	(45,113)	(6,150)
ფულადი ნაკადების წმინდა ცვლილება	(366,583)	(991,936)
ფულის და ფულის ეკვივალენტების საწყისი ნაშთი	573,502	1,565,438
ფულის და ფულის ეკვივალენტების საბოლოო ნაშთი	206,918	573,502

დირექტორი:
გიორგი გოგოლაძე

ბუღალტერი:
დავით შევარდნაძე

30 სექტემბერი, 2024 წ.
 თბილისი, საქართველო

ასსნა-განმარტებითი შენიშვნები გვერდებზე 10-32 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 3-5.

შპს „წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის მრავალპროფილიანი კლინიკური საავადმყოფო“
 ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება (პირდაპირი მეთოდი)
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 თანხები გამოხატულია ლარში

ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	2023 წელი	2022 წელი
შემოსავლები სამედიცინო მომსახურებიდან	12,059,517	9,732,626
შემოსავლები საგანმანათლებლო მომსახურებიდან	855,150	780,832
საიჯარო შემოსავალი	115,032	6,700
საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯებისთვის გადახდილი თანხები	(5,129,201)	(4,707,327)
გადახდილი საბიუჯეტო გადასახადები	(2,213,392)	(1,550,452)
გადახდილი შრომის ანაზღაურება	(7,763,086)	(5,769,379)
სხვა საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები	725,027	208,484
სხვა საოპერაციო საქმიანობაში გადახდილი ფულადი სახსრები	(376,265)	(96,812)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	(1,727,217)	(1,395,329)

ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(977,512)	-
ძირ. საშუალებების შესაძენად გადახდილი თანხა	(977,512)	-
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(977,512)	-

ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	4,520,999	1,031,141
მიღებული სესხები	(2,137,741)	(621,598)
სესხის დაფარვა	2,383,258	409,543
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	2,383,258	409,543

საკურსო სხვაობის გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	(45,113)	(6,150)
ფულადი ნაკადების წმინდა ცვლილება	(366,583)	(991,936)
ფულის და ფულის ეკვივალენტების საწყისი ნაშთი	573,502	1,565,438
ფულის და ფულის ეკვივალენტების საბოლოო ნაშთი	206,918	573,502

დირექტორი:
 გიორგი გოგოლაძე

ბუღალტერი:
 დავით შვედარდნაძე

30 სექტემბერი, 2024 წ.
 თბილისი, საქართველო



ახსნა-განმარტებითი შენიშვნები გვერდებზე 10-32 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.
 დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 3-5.

1. შესავალი

კომპანია და მისი საქმიანობა

„წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის მრავალპროფილიანი კლინიკური საავადმყოფო“ (შემდგომში „კლინიკა“), წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, საიდენტიფიკაციო ნომერი 202901832, მისამართი: საქართველო, თბილისი, დიდუბის რაიონი, ლუბლიანას ქ., N33.

კლინიკის წილის 100%-ის მფლობელი არის შპს „ჰიპოკრატე“ (ს/კ 404919406).

კლინიკის საქმიანობას წარმოადგენს მრავალპროფილური სამედიცინო მომსახურება და უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტთა შემდგომი განათლება.

კლინიკაში დასაქმებულია 539 ადამიანი. დასაქმებულთა შორის არიან:

- სხვადასხვა პროფილის ექიმები (კანონმდებლობით გათვალისწინებული საქმიანობის ნებართვით);
- საშუალო მედიკოსონალი, ექთნები და ექთნის დამხმარეები (კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი განათლებით);
- უმცროსი ექიმები (კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი განათლებით);
- დამხმარე პერსონალი (ადმინისტრაციის თანამშრომლები, ტექნიკური პროფილის მქონე პერსონალი, სანიტრები და სხვა).

კომპანია ახორციელებს სხვა ტიპის მცირე ეკონომიკურ საქმიანობასაც, როგორცაა ფართების იჯარით გაცემა და მედიკამენტების რეალიზაცია.

შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება ხორციელდება კლინიკაში დამტკიცებული ტარიფებისა და სხვადასხვა დამფინანსებელ ორგანიზაციებთან გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად. კლინიკაში მოქმედი ტარიფები შედგენილია შიდა სამედიცინო სტანდარტების საფუძველზე გასაწევი ხარჯების შესაბამისად. შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება ხორციელდება პაციენტის ან სადაზღვევო ორგანიზაციების მიერ.

შემოსავლების მხრივ მსხვილი დამფინანსებელია სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო, რომელიც შესრულებულ სამუშაოს კლინიკას უნაზღაურებს საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის დადგენილების („საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“) პირობების შესაბამისად, ამასთან კომპანია თანამშრომლობს კერძო სადაზღვევო კომპანიებთანაც.

კლინიკის ძირითად მარეგულირებელ ორგანოს წარმოადგენს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, ასევე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო (რადიაციული უსაფრთხოების კუთხით)

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31-დეკ-2023	31-დეკ-2022
1 USD/GEL	2.6894	2.7020
1 EUR/GEL	2.9753	2.8844

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

შესაბამისობის პრინციპი

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით და ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძალაში მყოფი საერთაშორისო სააღრიცხვო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული სტანდარტების და ინტერპრეტაციების შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგებები შედგება სრული შემოსავლის ანგარიშგების, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგების, ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებისა და განმარტებითი შენიშვნებისგან.

შეფასების საფუძველი

შეფასების საფუძვლად გამოყენებულია პირვანდელი ღირებულების საფუძველი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკით სხვაგვარად არის განსაზღვრული.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, სამომავლო გეგმები, ფულადი ნაკადების მოძრაობა, კომპანიის ოპერაციების მომგებიანობა და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ანგარიშის პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში, რის შედეგადაც ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ კომპანიამ მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით.

ფინანსური ინსტრუმენტები - ძირითადი შეფასების პირობები

კლასიფიკაციის გათვალისწინებით, როგორც ეს ქვემოთ არის აღწერილი, ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება რეალური ან ამორტიზებული ღირებულებით.

რეალური ღირებულება არის ის თანხა, რა თანხადაც შესაძლოა აქტივის გადაცვლა/რეალიზება ან ვალდებულების გადახდა, ნებაყოფლობით თანაბარი ინფორმაციის მქონე ორ მხარეს შორის გაშლილი ხელის მანძილის პირობებში. რეალური ღირებულება არის ფინანსური აქტივების მიმდინარე შეთავაზების ფასი და მოქმედ ბაზარზე მოვაჭრე ფინანსური ვალდებულებების მიმდინარე მოთხოვნილი ფასი. იმ აქტივებისთვის და ვალდებულებებისთვის, რომლებიც აბათილებენ ერთმანეთის საბაზრო რისკს, კომპანიას შეუძლია გამოიყენოს საშუალო საბაზრო ფასი რისკის პოზიციის გაქვითვისთვის რეალური ღირებულებების განსაზღვრისას და მიუსადაგოს შეთავაზების ან მოთხოვნის ფასი სუფთა ღია პოზიციას. ფინანსური ინსტრუმენტები აღებულია საბაზრო ფასად, როგორც ის შეფასებულია მოქმედ ბაზარზე, თუკი მოცემული ფასები რეგულარულად ხელმისაწვდომია გადაცვლის ან სხვა დაწესებულებისგან და აღნიშნული ფასები წარმოადგენს რეალურ და რეგულარულად დამოუკიდებელ მხარეებს შორის განხორციელებულ საბაზრო ტრანზაქციების ღირებულებას.

იმ ფინანსური აქტივების რეალური ღირებულების შესაფასებლად, რომლისთვისაც არ არსებობს ინფორმაცია გარე საბაზრო ფასების შესახებ, გამოიყენება სხვადასხვა შეფასების მეთოდები, როგორებიც არის

დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელი, ან მოდელები დაფუძნებული ბოლო პერიოდში დამოუკიდებელ მხარეებს შორის განხორციელებულ ტრანზაქციებზე, ან ინვესტორების ფინანსური მონაცემების გათვალისწინება. შეფასების მეთოდები შეიძლება საჭიროებდეს დაშვებებს, რომელიც დაკვირვებადი ბაზრის ინფორმაციით არ დასტურდება. შენიშვნები კეთდება მსგავსი განსაკუთრებული მიზნის მქონე ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ, იმ შემთხვევაში თუ მსგავსი დაშვების შეცვლა უფრო გონივრულად დასაშვები ალტერნატივით გამოიწვევს მნიშვნელოვან სხვაობას მოგებაში, შემოსავალში, მთლიან აქტივებში ან მთლიან ვალდებულებებში.

ტრანზაქციის დანახარჯები არის ფინანსური ინსტრუმენტის შეძენაზე, გამოშვებაზე ან რეალიზაციაზე პირდაპირ მიკუთვნებადი ნამატი ხარჯები. ნამატი ხარჯი არის დანახარჯი, რომელზეც არ გაიწეოდა ტრანზაქცია, რომ არ მომხდარიყო. ტრანზაქციის ხარჯები შეიცავს შუამავლისთვის (გაყიდვების შუამავლად დასაქმებული თანამშრომლის ჩათვლით), მრჩეველის, ბროკერისა და დილერისათვის გადახდილ მოსაკრებელს და საკომისიოს, მარეგულირებელი სააგენტოების და ფასიანი ქაღალდების გაცვლის გადასახადს, სატრანსფერო გადასახადს. ტრანზაქციის ხარჯი არ შეიცავს ვალდებულების პრემიუმს ან ფასდაკლებას, ფინანსირების ხარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ თუ ფლობის ხარჯს.

ამორტიზებული ღირებულება არის სხვაობა ფინანსური ინსტრუმენტის პირველად აღიარების თანხასა და ძირის გადახდას შორის, დამატებული დარიცხული პროცენტი და ფინანსური აქტივის შემთხვევაში - ასევე გამოკლებული გაუფასურების დანაკარგის ჩამონერა. დარიცხული პროცენტი შეიცავს პირველადი აღიარებისას განსაზღვრული ტრანზაქციის ღირებულებისა და სარგებლიანობის ვადის ამოწურვისთვის განსაზღვრული ნებისმიერი პრემიუმის ან ფასდაკლების თანხის ამორტიზაციას ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯი, დარიცხული კუპონი და ამორტიზებული პრემიუმის ან ფასდაკლების ჩათვლით (წარმოქმნისას მომხდარი გადასახადების ჩათვლით), ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი განცალკევებით და შედის დაკავშირებული პუნქტების მიმდინარე ღირებულებაში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განანილების მეთოდი მიმდინარე ღირებულებაზე პერიოდის მუდმივი საპროცენტო განაკვეთის (ეფექტური საპროცენტო განაკვეთის) მისაღებად. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი, არის განაკვეთი, რომელიც ფინანსური ინსტრუმენტის სასიცოცხლო ვადის განმავლობაში განსაზღვრულ მომავალ ფულად ნაკადებს მთლიანად აღდისკონტირებს ფინანსური ინსტრუმენტის მიმდინარე სუფთა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ახდენს სხვადასხვა საპროცენტო ინსტრუმენტების შემდეგ პროცენტის გადაფასების თარიღამდე დისკონტირებას, გარდა პრემიუმის ან ფასდაკლებისა, რომელიც ასახავს საკრედიტო სპრედს კონკრეტული ფინანსური ინსტრუმენტის მცურავ კურსზე და სხვა ცვლადებზე, რომელიც არ სწორდება საბაზრო განაკვეთით. მსგავსი პრემიუმის და ფასდაკლების ამორტიზება ხდება ინსტრუმენტის მთელი სასიცოცხლო ვადის განმავლობაში. მიმდინარე ღირებულების გამოთვლა გულისხმობს კონტრაქტის მხარეებს შორის გადახდილ ან მიღებულ ყველა გადასახადებს, რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი ნაწილია.

ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია

სესხები და მოთხოვნები არის არადერივატიული ფინანსური აქტივები ფიქსირებული და განსაზღვრული გადახდებით, რომელიც მოქმედ ბაზარზე არ არის შეფასებული. აღნიშნული ფინანსური აქტივები ბალანსის თარიღიდან 12 თვეზე ნაკლებ პერიოდში დაფარვის ვადით, შედის მიმდინარე აქტივებში, 12 თვის ზემოთ - გრძელვადიან აქტივებში.

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება

ყველა ფინანსური აქტივი, გარდა სავაჭრო მოთხოვნებისა, რომელიც არ მოიცავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს და ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება სამართლიან ღირებულებას დამატებული ტრანზაქციის დანახარჯები. თავდაპირველი აღიარებისას სამართლიან ღირებულებას ყველაზე კარგად ასახავს ტრანზაქციის ფასი. სარგებელი ან დანაკარგი თავდაპირველი აღიარებისას აღირიცხება მხოლოდ მაშინ თუ არსებობს სხვაობა სამართლიან ღირებულებასა და ტრანზაქციის ფასს შორის, რომელიც

შეიძლება გამოიკვეთოს მსგავს ინსტრუმენტებზე სხვა მიმდინარე საბაზრო ტრანზაქციებზე დაკვირვებით, ან შეფასების მეთოდით, რომელში შემავალი მონაცემები შეიცავს მხოლოდ ინფორმაციას დაკვირვებადი ბაზრებიდან.

ფინანსური აქტივის ყველა შესყიდვა, ან რეალიზაცია, რომელიც მოითხოვს აქტივის გარკვეული დროის საზღვრებში მინოდებას. დაწესებული რეგულაციით, თუ ბაზრის პირობებით (ვაჭრობის მიღებული წესი) აღიარდება რეალიზაციის/შესყიდვის თარიღით, კერძოდ თარიღით, როცა კომპანია აიღებს ვალდებულებას შეიძინოს, ან გაყიდოს აქტივი. ყველა სხვა შესყიდვა აღიარდება იმ თარიღით როდესაც პირი გახდება ინსტრუმენტის ხელშეკრულების ვალდებულების მხარე.

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც ა) მოხდება აქტივის გამოსყიდვა, ან აქტივისგან მისაღები ფულადი ნაკადები სხვა მიზეზით ამოიწურება; ბ) კომპანიამ გადასცა აქტივიდან მისაღები ფულადი ნაკადების უფლება ან შევიდა შუამავლის გარიგებაში, როდესაც 1) ასევე გადასცემს აქტივის ფლობის სარგებლის და რისკების მნიშვნელოვან ნილს, ან 2) არც გადასცემს, მაგრამ არც იტოვებს სარგებლის და რისკების მნიშვნელოვან რისკებს, მაგრამ ასევე უარს ამბობს კონტროლზე. კონტროლი ნარჩუნდება, იმ შემთხვევაში თუ მეორე მხარეს არ აქვს უფლება მთლიანი აქტივის მესამე პირზე რეალიზაციის, რეალიზაციაზე გარკვეული შემოღებების დაწესების გარეშე.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივის გაუფასურება

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივის გაუფასურება ხდება, მისი თავდაპირველი აღიარების შემდგომ პერიოდში მომხდარი ერთი ან რამდენიმე მოვლენით („დანაკარგის მოვლენები“), რომელსაც გავლენა აქვს ფინანსური აქტივის ან ფინანსური აქტივების ჯგუფისგან მისაღები მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობაზე ან ვადებზე და შეიძლება ამის საიმედოდ განსაზღვრა, გამოწვეული გაუფასურების დანაკარგები აღიარდება მოგება-ზარალზე მათი მოხდენის პერიოდში. თუ კომპანია დაასკვნის, რომ არ არსებობს ინდივიდუალურად შეფასებული ფინანსური აქტივის გაუფასურების მოხდენის ობიექტური მტკიცებულება, იქნება ეს მნიშვნელოვანი თუ არა, იგი შეიყვანს აღნიშნულ ფინანსურ აქტივს მსგავსი საკრედიტო რისკის მქონე აქტივების ჯგუფში და მოახდენს მათ ჯგუფურ ტესტირებას გაუფასურებაზე. ფინანსური აქტივის გაუფასურების შესამოწმებლად კომპანიის მიერ ძირითადად გამოყენებული ფაქტორები არის მისი ვადაგადაცილებულობის სტატუსი და მისი შესაბამისი უზრუნველყოფის, ასეთის არსებობის შემთხვევაში სანდოობა. ფინანსური აქტივის გაუფასურების შემოწმების სხვა ძირითად კრიტერიუმს წარმოადგენს:

- დავალიანების გარკვეული ნაწილი ვადაგადაცილებულია და ვადაგადაცილება არ არის გამოწვეული გადახდის სისტემის დაყოვნებით. მეორე მხარე განიცდის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეს, როგორც ეს ჩანს კომპანიის მიერ მოპოვებული ფინანსური ინფორმაციით;
- მეორე მხარე განიხილავს გაკოტრების ან ფინანსური რეორგანიზაციის ვარიანტს;
- სახეზეა მეორე მხარის მიერ გადახდების სტატუსის მნიშვნელოვანი გაუარესება ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებების შედეგად, რომელსაც გავლენა აქვს მეორე მხარეზე ან;
- უზრუნველყოფის ღირებულება მნიშვნელოვნად მცირდება ბაზრის პირობების მნიშვნელოვანი გაუარესების შედეგად.

თუკი მოხდა ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული გაუფასურებული ფინანსური აქტივის პირობების გადახედვა ან სხვაგვარად მოდიფიკაცია მეორე მხარის ფინანსური სირთულეების გამო, გაუფასურება გამოითვლება პირობების ცვლილებამდე არსებული თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

გაუფასურების დანაკარგი ყოველთვის აღიარდება სარგებერვო ანგარიშზე აქტივის საბალანსო ღირებულების მოსალოდნელი ფულადი ნაკადების (რომელიც არ შეიცავს მომავალ საკრედიტო დანაკარგებს, რომელიც ჯერ არ მომხდარა) აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებულ ღირებულებამდე ჩამოსაწერად. უზრუნველყოფილი ფინანსური აქტივის მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულების გამოთვლა მოიცავს უზრუნველყოფილი აქტივისგან მოსალოდნელ ფულად ნაკადებს, გამოკლებული მისი მიღების და რეალიზაციის დანახარჯები, იმის მიუხედავად არის თუ არა უზრუნველყოფილი აქტივის მოსალოდნელი რეალიზაცია.

თუკი შემდგომ პერიოდში მოხდება გაუფასურების ზარალის შემცირება და ეს შემცირება შეიძლება საიმედოდ მიეკუთვნოს გაუფასურების ზარალის აღიარების შემდგომი პერიოდის მოვლენას (როგორიცაა დებიტორის

საკრედიტო რეიტინგის გაუმჯობესება), მანამდე აღიარებული გაუფასურების ზარალის გაუქმება მოხდება სარეგულაციო ანგარიშის დაკორექტირებით წლის მოგება-ზარალზე.

უიმედო აქტივები ჩამოინერება შესაბამის გაუფასურების დანაკარგის რეზერვის ანგარიშზე აქტივის აღდგენისათვის ყველა საჭირო პროცედურის დასრულების და დანაკარგის მოცულობის განსაზღვრის შემდეგ. წინა პერიოდში ჩამოინერილი თანხების შემდგომი აღდგენა დაკრედიტდება გაუფასურების დანაკარგის ანგარიშზე წლის მოგება-ზარალზე.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები, რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლით ტრანზაქციებში გამოყენებისაგან აისახება სხვა გრძელვადიან აქტივებში.

სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით. შემდგომ ისინი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გამოკლებული გაუფასურების რეზერვი. კომპანია სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებისთვის იყენებს გამარტივებულ მიდგომას. აღნიშნული მიდგომის მიხედვით არსებობს მანძილზე სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი სარეკდიტო ზარალი გამოითვლება რეზერვების მატრიცის გამოყენებით.

გამარტივებული მიდგომა განიხილავს ზარალს სრულად მთელი პორტფოლიოსთვის, განურჩევლად იმისა, ადგილი ჰქონდა თუ არა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას პირველადი აღიარების შემდგომ.

საწარმო სარეკდიტო ზარალის წარსულ მონაცემებს იყენებს ფინანსური აქტივების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად. საწარმო აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდგომ, მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს სავაჭრო მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი.

საწარმო სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებას ახორციელებს შემდეგი მეთოდოლოგიის საფუძველზე:

- ინდივიდუალურად განიხილავს სახელმწიფოსგან მისაღებ თანხებს;
- ინდივიდუალურად განიხილავს სადაზღვევო კომპანიებისგან მისაღებ თანხებს;
- ჯგუფურად ფასდება მოთხოვნები ფიზიკური პირების მიმართ; და
- ჯგუფურად ფასდება ყველა სხვა დებიტორული დავალიანება, რადგან საწარმოს გამოცდილებით დარჩენილი ერთობლიობა არ მოიცავს ინდივიდუალურად მნიშვნელოვან ელემენტებს.

სახელმწიფოსგან და სადაზღვევო კომპანიებისგან ფორმირდება სავაჭრო მოთხოვნების მნიშვნელოვანი ნაწილი. აღნიშნულ მოთხოვნებს გააჩნიათ სპეციფიკური რისკიანობის მახასიათებლები, რომელიც განსხვავდება საწარმოს სხვა დებიტორებისგან. აღნიშნული ფაქტისა და შესაბამისი ნაშთის არსებობის გათვალისწინებით, საწარმო ინდივიდუალურად განიხილავს გაუფასურებაზე სახელმწიფოსგან და სადაზღვევო კომპანიებისგან მისაღებ თანხებს.

მოთხოვნებს ფიზიკური პირების მიმართ გააჩნიათ სპეციფიკური რისკიანობის მახასიათებელი, რომელიც განსხვავდება საწარმოს სხვა დებიტორებისგან, რადგან აღნიშნულ მოთხოვნებზე მაღალია, როგორც დეფოლტის ალბათობა, ასევე, დეფოლტის დადგომისას საკრედიტო დანაკარგი. აღნიშნული ფაქტის გათვალისწინებით, საწარმო რეზერვისგან განსაკუთრებით განიხილავს გაუფასურებაზე ფიზიკური პირებისგან მისაღებ თანხებს. წარსული პერიოდების საკრედიტო ზარალების ანალიზის გათვალისწინებით საწარმო იყენებს 100%-იან გაუფასურების დანაკარგის განაკვეთს.

იჯარა

იჯარის იდენტიფიკაცია

ხელშეკრულების დანწყებისას კომპანია აფასებს, მთლიანად ხელშეკრულება არის თუ არა იჯარა, ან შეიცავს თუ არა იჯარას. ხელშეკრულება არის საიჯარო ხელშეკრულება, ან შეიცავს იჯარას, თუ ხელშეკრულების მეშვეობით ხდება იდენტიფიცირებული აქტივის კონტროლის უფლების გადაცემა გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ. იმის დასადგენად, ესა თუ ის ხელშეკრულება გადასცემს თუ არა მომხმარებელს იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას გარკვეული პერიოდის განმავლობაში, კომპანია აფასებს, გამოყენების პერიოდის განმავლობაში მომხმარებელს გააჩნია თუ არა შემდეგი ორივე უფლება:

- ხელშეკრულებაში იდენტიფიცირებული აქტივიდან პრაქტიკულად მთლიანი სარგებლის მიღების უფლება და
- იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების წესის განსაზღვრის უფლება.

საწყისი აღიარება

იჯარის ვადის დანწყების თარიღისთვის, კომპანია აღიარებს აქტივების გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას, გარდა:

- იჯარისა, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს; და
- იჯარისა, რომლის ვადა 12 თვეზე ნაკლებია.

იჯარა კომპანიის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება როგორც:

- აქტივი, რომელიც წარმოადგენს იჯარის ვადის განმავლობაში, იჯარის ობიექტის გამოყენების უფლებას და
- ვალდებულება საიჯარო გადასახდელების ანაზღაურებისთვის.

იჯარის ვადის დანწყების თარიღისთვის, კომპანია საიჯარო ვალდებულება აფასებს იმ საიჯარო გადახდების ღირებულებით, რომელიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის.

საიჯარო გადახდები დისკონტირდება იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ამ განაკვეთის განსაზღვრა ადვილად არის შესაძლებელი. თუ ეს შეუძლებელია, გამოიყენება იჯარის ვადის დანწყების თარიღისთვის განსაზღვრული მოიჯარის ზღვრული სასესხო განაკვეთი. საიჯარო ვალდებულების შეფასებაში ცვლადი საიჯარო გადახდები მონაწილეობს იმ მოცულობით, რა მოცულობითაც დამოკიდებულია ინდექსზე ან განაკვეთზე.

ცვლადი საიჯარო გადახდები თავდაპირველად ფასდება იჯარის ვადის დანწყების თარიღის მდგომარეობით ამ ინდექსის ან განაკვეთის გამოყენებით. სხვა ცვლადი საიჯარო გადახდები აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, რომელსაც ისინი მიეკუთვნება.

იჯარის ვადის დანწყების თარიღისთვის, კომპანიის ვალდებულება საიჯარო გადასახდელების ანაზღაურებისთვის მოიცავს:

- თანხებს, რომელთა გადახდა მოსალოდნელია ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით;
- შესყიდვის არჩევანის უფლების ფასს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე გამოიყენებს ამ უფლებას;
- იჯარის ვადამდე შეწყვეტისთვის ჯარიმებს, თუ იჯარის ვადა ასახავს მოიჯარის მიერ იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლების გამოყენებას;

იჯარის ვადის დანწყების თარიღისთვის კომპანიის აქტივების გამოყენების უფლებას თვითღირებულებით აფასებს. აქტივების გამოყენების უფლების თვითღირებულება მოიცავს:

- საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას,
- საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დანწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით;
- მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს; და

იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს, იმ ადგილის აღსადგენად, სადაც განთავსებულია აქტივი, ან საიჯარო აქტივის აღსადგენად ისეთ მდგომარეობაში მოყვანის მიზნით, რაც მოითხოვება საიჯარო ხელშეკრულების პირობებით.

შემდგომი შეფასება

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ საიჯარო ვალდებულება იზრდება პროცენტის ასახვით და მცირდება განხორციელებული საიჯარო გადახდებით. აქტივების გამოყენების უფლება მცირდება დაგროვილი ცვეთით და დაგროვილი გაუფასურების გამოკლებით.

თუ საიჯარო ხელშეკრულების თანახმად საიჯარო აქტივზე საკუთრების უფლება იჯარის ვადის დასრულებისას მოიჯარეს გადაეცემა, ან აქტივების გამოყენების უფლების თვითღირებულება ასახავს მოიჯარის განზრახვას, რომ ის გამოიყენებს აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლებას, აქტივს ცვეთა ერიცხება იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან საიჯარო აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებამდე.

სხვა შემთხვევაში, აქტივების გამოყენების უფლებას ცვეთა ერიცხება იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან შემდეგ ორ თარიღს შორის უფრო ადრინდელ თარიღამდე: აქტივების გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისა და იჯარის ვადის დასრულების თარიღი. საიჯარო აქტივი ამორტიზდება იჯარის ვადის შესაბამისად.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ კომპანია ხელახლა აფასებს საიჯარო ვალდებულებას, საიჯარო გადახდების ცვლილებების ასახვის მიზნით. საიჯარო ვალდებულების ხელახალი შეფასების შედეგად მიღებული თანხა აღიარდება, როგორც აქტივების გამოყენების უფლების კორექტირება. თუმცა, თუ აქტივების გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება მცირდება ნულამდე და ამავე დროს მცირდება საიჯარო ვალდებულების შეფასებაც, ხელახალი შეფასების თანხის დარჩენილი ნაწილი აღიარდება კონსოლიდირებულ მოგება/ზარალში. საიჯარო ვალდებულება ხელახლა ფასდება გადასინჯული საიჯარო გადახდების და გადასინჯული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, ნებისმიერ შემდეგ შემთხვევაში, თუ: შეიცვალა იჯარის ვადა, ან შეიცვალა საიჯარო აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლების შეფასება.

თუ შეიცვალა თანხები, რომელთა გადახდაც მოსალოდნელია ნარჩენი ღირებულების გარანტიის პირობის ფარგლებში ან შეიცვალა მომავალი საიჯარო გადახდები იმის გამო, რომ შეიცვალა ამ გადახდების განსაზღვრისთვის გამოსაყენებელი ინდექსი ან განაკვეთი, საიჯარო ვალდებულება ხელახლა ფასდება იჯარის ვადის დასაწყისში განსაზღვრული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც საიჯარო გადახდების ცვლილება გამომწვეულია ცვლადი საპროცენტო განაკვეთების ცვლილებით.

როცა კომპანია ახდენს იჯარის სახელშეკრულებო პირობების მოდიფიკაციას, ამ შემთხვევაში, აღრიცხვა დამოკიდებულია მოდიფიკაციის შინაარსზე:

- იჯარის მოდიფიკაცია აისახება, როგორც განცალკევებული იჯარა, თუ მოდიფიკაციის შედეგად იზრდება იჯარის გამოყენების სფერო და იჯარის ანაზღაურება იზრდება გაზრდილი გამოყენების სფეროს შესაფერისი ანაზღაურებით.

- იჯარის ისეთი მოდიფიკაციის შემთხვევაში, რომელიც არ აღირიცხება, როგორც განცალკევებული იჯარა, იჯარის მოდიფიკაციის ძალაში შესვლის თარიღისთვის მოიჯარე ხელახლა აფასებს საიჯარო ვალდებულებას გადასინჯული საიჯარო გადახდების დისკონტირებით გადასინჯული დისკონტირების განაკვეთის საფუძველზე.

- იჯარის ისეთი მოდიფიკაციის შემთხვევაში, რომლის შედეგად მცირდება იჯარის მოქმედების სფერო, მცირდება აქტივების გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება იჯარის ნაწილობრივ ან სრულად შეწყვეტის ასახვის მიზნით, კონსოლიდირებულ მოგება/ზარალში აღიარდება ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი, რომელიც დაკავშირებულია იჯარის ნაწილობრივ ან მთლიანად შეწყვეტასთან; საიჯარო ვალდებულება შემდგომში კორექტირდება იმგვარად, რომ მისმა საბალანსო ღირებულებამ ასახოს მოდიფიცირებული საიჯარო გადასახდელები მოდიფიცირებული ვადის განმავლობაში, რომლებიც დადისკონტირებულია მოდიფიკაციის თარიღისთვის არსებული განაკვეთით. ასეთ დროს, აქტივების გამოყენების უფლებაც შესაბამისი თანხით კორექტირდება.

კომპანია არასაიჯარო კომპონენტებს არ გამოაცალკევებს საიჯარო კომპონენტებისგან და ამის ნაცვლად თითოეული საიჯარო კომპონენტი და მასთან დაკავშირებული არასაიჯარო კომპონენტი აღირიცხება, როგორც ერთი საიჯარო კომპონენტი.

იჯარის ვადის განსაზღვრა

იჯარის ვადა არის იჯარის არაგაუქმებადი პერიოდი, რომლის განმავლობაშიც მოიჯარეს აქვს საიჯარო აქტივების გამოყენების უფლება, შემდეგ პერიოდებთან ერთად: ა) პერიოდები, რომლებსაც მოიცავს იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლება (მათ შორის მიღებული საქმიანი პრაქტიკით გამყარებული), თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას გამოიყენებს; და ბ) პერიოდები, რომლებსაც მოიცავს იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლება, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას არ გამოიყენებს.

ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას იჯარის ვადის დადგენისას. იმის შესაფასებლად, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ მოიჯარე გამოიყენებს იჯარის გაგრძელების უფლებას, ან არ გამოიყენებს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლებას, კომპანია განიხილავს ყველა სათანადო ფაქტს და გარემოებას, რომელიც მოიჯარეს ეკონომიკურ სტიმულს უქმნის, გამოიყენოს იჯარის გაგრძელების უფლება, ან არ გამოიყენოს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლება. კომპანია ხელახლა აფასებს, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ ის გამოიყენებს იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლებას, ან არ გამოიყენებს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლებას, იმ შემთხვევაში, თუ მოხდება რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა, ან მნიშვნელოვნად შეიცვლება გარემოებები, რომლებიც: ა) მოიჯარის კონტროლს ექვემდებარება; და ბ) გავლენას ახდენს იმის შეფასებაზე, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ მოიჯარე გამოიყენებს უფლებას, რომელიც ადრე გათვალისწინებული არ ჰქონდა იჯარის ვადის დადგენისას, ან არ გამოიყენებს ისეთ უფლებას, რომელიც ადრე გათვალისწინებული ჰქონდა იჯარის ვადის განსაზღვრისას.

ხელმძღვანელობა ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის ახდენს საიჯარო ვადების ხელახალ შეფასებას. საიჯარო ვადების ცვლილების ეფექტით ხდება აქტივის გამოყენების უფლებისა და საიჯარო ვალდებულების დაკორექტირება.

ზღვრული სასესხო განაკვეთი

ზღვრული სასესხო განაკვეთი არის, საპროცენტო განაკვეთი, რომლის გადახდაც მსგავს ეკონომიკურ გარემოში მოუწევდა მოიჯარეს აქტივების გამოყენების უფლების ღირებულების მსგავსი ღირებულების აქტივის მოსაპოვებლად საჭირო სესხით სარგებლობისთვის, რომელსაც მსგავსი ვადა და უზრუნველყოფა ექნებოდა. ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას ზღვრული სასესხო განაკვეთის დადგენისთვის. დაკვირვებადი მონაცემების გამოყენებით განისაზღვრება ძირითადი განაკვეთი, რომელიც კორექტირდება მოიჯარისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფაქტორებით და უზრუნველყოფის (იჯარის ობიექტის) მახასიათებლებით.

საიჯარო გადახდების განსაზღვრა

საქართველოში ხშირად იჯარის ხელშეკრულება არ მოიცავს ჩანაწერს (ან მოიცავს არასრულს ჩანაწერს) იჯარის განახლების/გაგრძელების შესახებ. ზემოთხსენებული უფლების არსებობა გამყარებულია მიღებული საქმიანი პრაქტიკის შესაბამისად. კომპანია ამგვარ მიღებულ საქმიან პრაქტიკას განიხილავს ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად. ასეთი შემთხვევებისთვის, საიჯარო ვალდებულების განსაზღვრისას შეფასებული საიჯარო გადახდები არის უცვლელი მთელი საიჯარო ვადის განმავლობაში განახლებადი პერიოდის ჩათვლით.

მოკლევადიანი იჯარა და გრძელვადიანი იჯარა, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს

კომპანიამ გადანაცვითა მოკლევადიან იჯარასთან და დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო აქტივის იჯარასთან მიმართებაში გამოიყენოს გათავისუფლება. ამ იჯარასთან დაკავშირებული საიჯარო გადახდები აღირიცხება ხარჯის სახით იჯარის ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით. სხვა სისტემატური საფუძველი იმ შემთხვევაში გამოიყენება, თუ ეს საფუძველი უფრო ადეკვატურად ასახავს მოიჯარის მიერ სარგებლის მიღების სტრუქტურას/მოდელს.

ძირითადი საშუალებები

გარდა ძირითადი საშუალებების შენობა-ნაგებობების ჯგუფისა, რომელიც აღირიცხება გადაფასების მოდით, ძირითადი საშუალებები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულებით. ძირითადი საშუალებების თვითღირებულება შედგება მშენებლობის ხარჯის ან შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლება გამოაკლდება შესყიდვის ან მშენებლობის ფასს.

მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მენეჯმენტი აფასებს, არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ნიშნები. თუ გაუფასურებას ჰქონდა ადგილი, ხდება ძირითადი საშუალებების ჩამოფასება უმაღლესი თანხით შემდეგ ორს შორის: გამოყენების ღირებულება და სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის ხარჯები. საბალანსო ღირებულების შემცირება აისახება მოგება-ზარალზე. წინა პერიოდში აღიარებული აქტივის გაუფასურების დანაკარგი გაიქვითება, თუკი მოხდება აქტივის გამოყენების ღირებულების ან სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის დანახარჯების ღირებულების გამოსათვლელად საჭირო დაშვებების ცვლილება.

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

2017 წელს მოხდა შენობა-ნაგებობის გადაფასება. აქტივად აღიარების შემდგომ, ძირითადი საშუალებების ესა თუ ის ერთეული, რომლის სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ, აისახება გადაფასებული თანხით, რომელიც გადაფასების მომენტისათვის არსებული აქტივის სამართლიანი ღირებულების ტოლია, შემდგომში დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხების გამოკლებით. კომპანია გადაფასებას რეგულარულად ატარებს იმისათვის, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება არსებითად არ განსხვავდებოდეს მისი სამართლიანი ღირებულებისაგან, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

ცვეთა

ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება შემცირებადი მეთოდით, რაც გულისხმობს აქტივების ღირებულების განაწილებას მათ გეგმიური საექსპლუატაციო ვადის ზემოთ ნარჩენი ღირებულების გამოკლებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

დასახელება

სასიცოცხლო ვადები

შენობა-ნაგებობა	20
სამედიცინო აპარატურა	5
სხვა	5-7

ნარჩენი ღირებულება არის შეფასებითი თანხა, რასაც კომპანია მიიღებდა ამჟამად ძირითადი საშუალების გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით, თუ აქტივს ექნებოდა მისი სასარგებლო მომსახურების ვადის ბოლოს მოსალოდნელი ასაკი და მდგომარეობა. ძირითადი საშუალებების მომსახურების პერიოდი გადაიხედება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში.

არამატერიალური აქტივები

შეძენილი არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი. თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო გამოყენების ვადისა და ამორტიზაციის წრფივი მეთოდის გადახედვა. არამატერიალური აქტივებისთვის, ტარდება გაუფასურების ტესტი წლიურად. არამატერიალური აქტივები იცვითება იმ თარიღიდან, როცა გამოიყენება. ამორტიზაციის პერიოდი და მეთოდის გადახედვა ხდება წლიურად და კორექტირდება შესაბამისად.

შემოსავლის აღიარება

საწარმო აღიარებს შემოსავალს დაპირებული საქონლისა და მომსახურების მომხმარებლისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც კომპანია მოელის ამ საქონლისა და მომსახურების

გადაცემის სანაცვლოდ. სანარმო იყენებს ხუთ ეტაპიან მოდელს მომხმარებელთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების მიმართ:

- მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
- სახელშეკრულებო ვალდებულებების დადგენა;
- გარიგების ფასის განსაზღვრა;
- გარიგების ფასის განაწილება სახელშეკრულებო ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც პირი სახელშეკრულებო ვალდებულებას შეასრულებს.

სანარმო შემოსავალს აღიარებს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელზე/მომსახურებაზე „კონტროლი“ მომხმარებელს გადაეცემა.

სანარმოს შემოსავლის ძირითად ნაწილს წარმოადგენს მომხმარებლებისთვის სამედიცინო და მასთან დაკავშირებული მომსახურების გაწევა. შემოსავალი სამედიცინო და სხვა დაკავშირებული მომსახურების მიწოდებიდან აღიარდება დროთა განმავლობაში შესრულებული სამუშაოს შედეგების მეთოდის გამოყენებით. სანარმოს ძირითად შემოსავალს იღებს ამბულატორიული და სტაციონალური მომსახურების გაწევიდან.

სანარმოს შემოსავლის ძირითადი საკონტრაქტო ღირებულება არის ფიქსირებული და შესაბამისად, თითოეული კონტრაქტიდან მისაღები შემოსავლის განსაზღვრა ხდება მოცემული ფიქსირებული ფასების მიხედვით.

ფიზიკური პირებისთვის გასაწევი მომსახურების საფასური, რომლებიც დაზღვევები არიან სხვადასხვა სადაზღვევო კომპანიაში გაწერილია სადაზღვევო კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულების პირობებში. სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დაზღვეული ფიზიკური პირებისთვის მოქმედებს განაკვეთი, რომელიც დადგენილია სახელმწიფოსთან შეთანხმების საფუძველზე. დაუზღვეველ ფიზიკურ პირებზე შემოსავლის აღიარება ხდება სანარმოს მიერ დადგენილი შიდა სტანდარტით განსაზღვრული ფასის მიხედვით.

სახელმწიფოსა და სადაზღვევო კომპანიებთან არსებული ურთიერთთანამშრომლობის პრაქტიკის მიხედვით, სანარმოს მიერ გაგზავნილი შესრულებული სამუშაოს ამსახველი დოკუმენტები (ანგარიშფაქტურები) კორექტირდება შეცდომების აღმოჩენის შემთხვევაში, ფასს 15 სტანდარტის მოთხოვნების გათვალისწინებით.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ან დასკვნის თარიღისთვის ამოქმედებული კანონმდებლობის მიხედვით. მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ის პირდაპირ აღიარებულია კაპიტალში, რადგანაც უკავშირდება ოპერაციებს, რომლებიც იმავე ან განსხვავებულ პერიოდში, ასევე პირდაპირ კაპიტალში აღიარდება.

მიმდინარე მოგების გადასახადი არის მიმდინარე ან გასული პერიოდის დასაბეგრი მოგების გადასახდელი ან ზარალის შესაბამისი მოგების გადასახადის აღდგენადი თანხა. იმ შემთხვევაში თუ ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნება ხდება საგადასახადო დეკლარაციების ჩაბარებამდე, დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება შეფასებებს. გადასახადები, მოგების გარდა, აღირიცხება აღმინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

გადავადებული მოგების გადასახადი აღარ მიესადაგება ფინანსურ ანგარიშგებებს, იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს ახალი საგადასახადო კოდექსით აღარ გამოიყენება.

მარაგები

მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენას და გადაამუშავებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, აგრეთვე იმ დანახარჯებს, რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისთვის.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შეძენის დანახარჯები მოიცავს მათი შეძენის ღირებულებას, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (გარდა იმ გადასახადებისა, რომლებიც საგადასახადო ორგანომ კომპანიას უნდა დაუბრუნოს), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებს და სხვა დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მარაგების შეძენასთან. საფაქრო ფასდაკლება და სხვა

სახის ფასდათმობები არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯების გაანგარიშებებში. საწარმოს მარაგები ძირითადად მოიცავს მედიკამენტებს და სამედიცინო სახარჯ მასალას. მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდით.

მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

წინასწარ გადახდები

წინასწარი გადახდები აღიარდება თვითღირებულებით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირდება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ. ძირითადი საშუალებების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა აქტივის საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტრაქტს ამ აქტივზე და მოსალოდნელი გახდება ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალზე, როდესაც ხდება წინასწარ გადახდებთან დაკავშირებული შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, თუ მომსახურების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარ გადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის ინვესტირება აღიარდება ნომინალური ღირებულებით და კლასიფიცირდება როგორც საწესდებო კაპიტალი. საწარმოს საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება წესდებით. წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აღიარდება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. პირობითი ვალდებულება აისახება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან შორეულ მომავალში.

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, ასევე, არ აღიარდება პირობითი აქტივები, რადგანაც შესაძლოა, ამან გამოიწვიოს იმ შემოსავლის აღიარება, რომლის მიღებაც არასოდეს მოხდება. ისეთი პირობითი აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში მოსალოდნელია - აისახება კონსოლიდირებულ განმარტებით შენიშვნებში.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობასთან. კომპანიაში ანარიცხები აღიარდება, როდესაც კომპანიას აქვს მიმდინარე ვალდებულება (იურიდიული ან კონსტრუქციული), რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენის შედეგად, სავარაუდოდ, რომ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განთავსებული რესურსების გასვლა და ამავდროულად, შესაძლებელია ვალდებულების თანხის საიმედოდ შეფასება

3. მნიშვნელოვანი საანარიცხო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან გარკვეული შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომელიც გავლენას ახდენს მოგების, ხარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე, მათ შესაბამის შენიშვნებზე და პირობითი ვალდებულების შენიშვნაზე. უზუსტობამ აღნიშნულ შეფასებებსა და დაშვებებში შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგი, რომელიც საჭიროს გახდის აქტივის საბალანსო ღირებულების მატერიალურ კორექტირებას ან გავლენას მოახდენს ვალდებულებაზე მომავალ პერიოდში.

საგაჯრო მოთხოვნების გაუფასურება

კომპანია პერიოდულად აფასებს საეჭვო ვალების გაუფასურების მიდგომებს. კომპანია გაუფასურების წარმოებისას ეყრდნობა თავის შიდა შეფასებებს და სწამს, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში გაუფასურების რეზერვები წარდგენილია სააღრიცხვო პრინციპების შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა

კომპანია აკეთებს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა: ტექნიკური ან კომერციული მოძველება, მოსალოდნელი წარმადობა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად ზუსტად შეაფასოს ძირითადი საშუალებით გამოსახული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოდელი, ის შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა მატერიალური გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ მონაცემებზე.

4. IASB-ს მიერ გამოცემული ახალი ან განახლებული სტანდარტები და განმარტებები

ქვემოთ წარმოდგენილი შესწორებული სტანდარტები ძალაში შევიდა კომპანიისთვის 2023 წლის 1 იანვრიდან, თუმცა კომპანიაზე მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია:

ფასს 17 “სადაზღვევო ხელშეკრულებები” (გაცემულია 2017 წლის 18 მაისს და ძალაში შედის წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ). ფასს 17-ით ჩანაცვლდა ფასს 4, რომელიც კომპანიებს აძლევდა თავისუფლებას, გაეგრძელებინათ სადაზღვევო ხელშეკრულებების ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება არსებული პრაქტიკის მიხედვით. შედეგად, ინვესტორებისათვის რთული იყო სხვაგვარად მსგავსი სადაზღვევო კომპანიების ფინანსური საქმიანობის შედეგების შედარება. ფასს 17 არის ერთ პრინციპზე დაფუძნებული სტანდარტი ყველა ტიპის სადაზღვევო ხელშეკრულებების აღრიცხვისათვის, მათ შორის მზღვეველის მიერ ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებებისათვის. სტანდარტით მოითხოვება სადაზღვევო ხელშეკრულების ჯგუფების აღიარება და აღრიცხვა: (i) სამომავლო ფულადი ნაკადების რისკის გათვალისწინებით კორექტირებული დისკონტირებული ღირებულებით (სრული ფულადი ნაკადები), რომლებიც მოიცავს ყველა არსებულ ინფორმაციას, სრული ფულადი ნაკადების შესახებ, ბაზარზე დაკვირვებად ინფორმაციასთან თანმიმდევრული გზით; მიმატებული (თუ ეს ღირებულება ვალდებულებას) ან გამოკლებული (თუ ეს ღირებულება აქტივია); (ii) თანხა, რომელიც წარმოადგენს გამოუმუშავებელ მოგებას ამ ჯგუფის ხელშეკრულებებში (სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა). მზღვეველები აღიარებენ სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფიდან მიღებულ მოგებას იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც ისინი უზრუნველყოფენ დაზღვევას, აღებული რისკისგან გათავისუფლებამდე. თუ ხელშეკრულებების მოცემული ჯგუფი ზარალიანი გახდება, სანარმო ზარალს მაშინვე აღიარებს.

ბასს 1-ში და ფასს-ის პრაქტიკულ ანგარიშგება 2-ში შეტანილი ცვლილებები: სააღრიცხვო პოლიტიკის წარმოდგენა (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებულ წლიურ პერიოდებზე). ბასს 1-ში შეიტანეს ცვლილებები, რომლის მიხედვითაც კომპანიებს მოეთხოვებათ წარმოადგინონ მათი მატერიალური სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაცია და არა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა. შესწორებით გათვალისწინებულ იქნა მატერიალური სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის განმარტება. შესწორებით ასევე განიმარტა, რომ სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაცია, მნიშვნელოვანი იქნება, თუ მის გარეშე ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლები ვერ შეძლებენ სხვა მატერიალური ინფორმაციის გაცნობას. შესწორებაში წარმოდგენილია სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის საილუსტრაციო მაგალითები, რომლებიც მნიშვნელოვნად ჩაითვლება სანარმოს ფინანსური ანგარიშგებისთვის.

გარდა ამისა, ბასს 1-ში შესწორებით დაზუსტდა, რომ არამატერიალური სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის წარდგენა არ არის საჭირო. თუმცა, თუ ის მაინც წარდგება არ უნდა დაფაროს მატერიალური სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია. ამ შესწორების მხარდასაჭერად IFRS პრაქტიკულ ანგარიშგება 2-ში „მატერიალური გადაწყვეტილების მიღება“-ში შეიტანეს ცვლილებები, რომ მოცემულიყო სახელმძღვანელო მითითებები, თუ როგორ უნდა გამოვიყენოთ მატერიალურობის კონცეფცია სააღრიცხვო პოლიტიკის წარდგენისას.

ბასს 8-ში შესწორებები: სააღრიცხვო შეფასებების განმარტება (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და მოქმედებს წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ). ბასს 8-ის დამატებით შესწორებამ განმარტა, თუ როგორ უნდა განასხვავონ კომპანიებმა სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებისაგან.

ცვლილება ბასს 12 - მოგების გადასახადები - გადავადებული გადასახადი რომელიც დაკავშირებულია ცალკეულ ოპერაციასთან დაკავშირებულ აქტივთან და ვალდებულებასთან. (ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებულ წლიურ პერიოდებზე, ნაადრევი გამოყენება ნებადართულია). სტანდარტი განსაზღვრავს გარკვეულ დამატებით შედგავთებს თავდაპირველი აღიარების მომენტში.

OECD Pillar Two Rules – (გამოქვეყნებისთანავე ძალაშია გარკვეული ახსნა განმარტებების წარდგენისაგან განთავისუფლების გარდა) შეეხება მულტინაციონალურ კომპანიების ეფექტური საგადასახადო განაკვეთის წარდგენას იურისდიქციების მიხედვით.

ახალი ან გადასინჯული სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომელიც ჯერ არ არის ძალაში შესული ან წინსწრებით დანერგული

კომპანიამ ვადადგე არ მიიღო შესწორებები, რომელიც ძალაშია 2023 წლის 31 დეკემბრის შემდეგ და თვლის, რომ ისინი უმნიშვნელო გავლენას მოახდენენ, მიღების შემდეგ, კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარედ ან გრძელვადიანად - შესწორებები ბასს 1-ში. ფინანსური პირობების (Covenants) მქონე გრძელვადიანი ვალდებულებები შესწორებები ბასს 1-ში. (ძალაშია 2024 წლის 1 იანვრიდან) ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარედ ან გრძელვადიანად - შესწორებები ბასს 1-ში შევიდა 2020 და 2022 წელს. აღნიშნული შესწორებები განმარტავს, რომ ვალდებულებები კლასიფიცირებულია მიმდინარე ან არამიმდინარე ვალდებულებებად, რაც დამოკიდებულია ანგარიშგების პერიოდის ბოლოს არსებულ უფლებებზე. ვალდებულებები არამიმდინარეა იმ შემთხვევაში, თუ საწარმოს აქვს არსებითი უფლება, ანგარიშგების პერიოდის ბოლოს, გადავადდოს ანგარიშსწორება მინიმუმ თორმეტი თვით. ხელმძღვანელობის მოლოდინები ბალანსის შემდეგ თარიღებში (პირობების შესრულების განთავისუფლებასთან და პირობების დარღვევასთან დაკავშირებით) გავლენას არ ახდენს ვალდებულებების კლასიფიკაციაზე.

ფინანსური პირობები არ ახდენს ვალდებულების ვადიანობის მიხედვით კლასიფიკაციაზე თუ პირობების შესაბამისობის მოთხოვნა დგება ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგ პერიოდში. იმ შემთხვევაში კი როდესაც პირობებთან შესაბამისობა უნდა იყოს უზრუნველყოფილი ბალანსის თარიღისთვის ან უფრო ადრე მაშინ შესაბამისობა ახდენს მიმდინარე და გრძელვადიანი წარდგენის წარდგენის კლასიფიკაციაზე იმის მიუხედავად რომ შესაბამისობის ტესტირება მოხდება მხოლოდ ბალანსის შედგენის შემდეგ.

თუ საწარმო წარადგენს ვალდებულებას გრძელვადიანად და ფინანსური პირობების შესაბამისობა უნდა გაიტესტოს ბალანსის შედგენის შემდეგ 12 თვის პერიოდში მაშინ ცვლილება მოითხოვს ახსნა განმარტების წარდგენას. ახსნა განმარტება უნდა მოიცავდეს:

- ვალდებულების საბალანსო ღირებულებას;
- ფინანსური პირობების დეტალებს;
- ფინანსური პირობებთან შესაბამისობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ სირთულეების ამსახველ ფაქტებს და გარემოებებს, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ცვლილება ასევე სპეციფიკურად განმარტავს ვალდებულების დაფარვის მცნებას, როდესაც მეორე მხარეს ოპციით აქვს უფლება დაფარვა მოხდეს კომპანიის საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტებით. ცვლილება უნდა იქნას გამოყენებული რეტროსპექტიულად ბასს 8 შესაბამისად. სპეციალური დანერგვის მინიმუმები არსებობს თუ კომპანია ადრე დანერგავს სტანდარტს.

საიჯარო ვალდებულება გაყიდვისა და უკუიჯარის პირობებში - ცვლილება ფასს 16 ში. (ძალაშია 2024 წლის 1 იანვრიდან). 2022 წლის სექტემბერში საბჭომ (IASB) მიიღო ცვლილება ფასს 16 იჯარებში ასახული გაყიდვისა და უკუიჯარის ოპერაციებთან დაკავშირებით. ცვლილება განმარტავს ოპერაციის თაღისათვის ოპერაციის ასახვის დეტალებს. ცვლილების განსაზღვრავ გამოყენებული მოიჯარე მიერ საიჯარო გადახდების განსაზღვრის დეტალებს.

მოწოდებლის ფინანსირების გარიგებები - ცვლილება ბასს 7 და ფასს 7 ში - (ძალაშია 2024 წლის 1 იანვრიდან). საბჭომ (IASB) გამოუშვა ახალი ახსნა განმარტებათა მოთხოვნებთან დაკავშირებული ცვლილება ბასს 7 და ფასს 7. ცვლილების მიზანია დამატებით ინფორმაციის წარდგენა ინვესტორებისათვის მოწოდებელთა ფინანსირების

(SFA) გარიგებებთან დაკავშირებით. ახალი ახსნა განმარტებები მოითხოვს ინფორმაციას მომწოდებლების დაფინანსების პირობების შესახებ:

1. იმ ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულება და მათი წარდგენის დეტალები, რომლებიც დაკავშირებულია ან SFA ნაწილია.
2. ფინანსური ვალდებულების ნაწილი რომლებზეც ფინანსურების უზრუნველყოფელმა მოახდინა გადახდა.
3. გადასახადელი თანხების ზღვარი და ვადიანობა რომელზეც დაკავშირებულია SFA - სთან, და შესაძარისი საფაქრო ვალდებულება რომელიც ამ გარიგების ნაწილი არ არის.
4. შესაბამისი ფინანსური ვალდებულების ცვლილება, რომელიც დაკავშირებულია არაფულად ოპერაციებთან.
5. SFA წვდომა და ლიკვიდურობის რისკი შესაბამისი ფინანსირების უზრუნველყოფებთან.

საბჭო ათავისუფლებს სუბიექტებს შესაძარისი ინფორმაციის წარდგენის მოთხოვნისაგან პირველად დანერგვისას, განთავისუფლება ეხება საწყის ნაშთებსაც.

ზემოთ სხვაგვარად თუ არ არის მითითებული, მოსალოდნელი არ არის, რომ ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები მნიშვნელოვან გავლენას მოახდენენ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

5. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტი	31-დეკ-2023	31-დეკ-2022
მიმდინარე ანგარიშები ეროვნულ ვალუტაში	193,773	12,669
ნადღი ფული ეროვნულ ვალუტაში	13,143	8,529
მიმდინარე ანგარიშები უცხოურ ვალუტაში	2	552,303
სულ ფული და ფულის ექვივალენტი	206,918	573,501

ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა, კლასიფიცირებული იყოს, როგორც არასარისკო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკები, სადაც კომპანიას მიმდინარე ანგარიშები აქვს, არის სანდო და საყოველთაოდ ცნობილი საკრედიტო დაწესებულებები.

6. დებიტორული დავალიანება

დებიტორული დავალიანება	31-დეკ-2023	31-დეკ-2022
რეფერალური პროგრამა	3,400,410	2,770,087

მოთხოვნა ფაქტიურად შესრულებული სამუშაოდან	2,541,154	2,244,139
მოთხოვნები სადაზღვეოდან	313,115	179,864
გადახდილი ავანსები	55,099	55,099
სხვა დებიტორული დავალიანება	173,479	173,479
სულ დებიტორული დავალიანება	6,483,257	5,422,668

ფაქტიურად შესრულებული სამუშაოებიდან წარმოქმნილი მოთხოვნების ძირითადი ნაწილი არის დაკავშირებული კოვიდ პროგრამის ამოქმედების ფარგლებში შესრულებულ მომსახურებებთან.

7. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	31-დეკ-2023	31-დეკ-2022
აფთიაქის საწყობი	1,221,582	1,221,451
მედიკამენტების მარაგი განყოფილებაში	1,157,763	1,157,177
მარაგი განყოფილებებში	72,485	46,476
საწვავი	3,586	3,335
სულ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	2,455,415	2,428,440

8. ძირითადი საშუალებები

	მიწა	შენობები	მანქანა დანადგარები	ოფისის ინვენტარი	ავჯი და სხვა ინვენტარი	ტრანსპორტი	სხვა	სულ
თვითღირებულება 01-იან-2022	61,285	16,636,063	6,790,997	694,663	354,476	27,028	726,359	25,290,871
ზრდა	-	-	158,075	174,198	530	-	27,954	360,756
შემცირება	-	-	(700)	(44,624)	-	-	-	(45,324)
თვითღირებულება 31-დეკ-2022	61,285	16,636,063	6,948,372	824,237	355,006	27,028	754,313	25,606,304
ზრდა	-	-	993,706	217,262	5,890	-	53,245	1,270,102
შემცირება	-	-	(2,000)	-	-	-	-	(2,000)
თვითღირებულება 31-დეკ-2023	61,285	16,636,063	7,940,077	1,041,499	360,896	27,028	807,557	26,874,406
აკუმულირებული ცვეთა 01-იან-2022	-	-	(3,753,678)	(423,055)	(280,779)	(17,359)	(423,454)	(4,898,325)
ცვეთის ხარჯი	-	(507,235)	(207,449)	(30,968)	(15,863)	(2,616)	(32,472)	(796,603)
ცვეთა გასულ აქტივებზე	-	-	-	-	-	-	-	-

აკუმულირებული ცვლათა 31-დეკ-2022	-	(507,235)	(3,961,127)	(454,023)	(296,642)	(19,975)	(455,926)	(5,694,928)
ცვლით ხარჯი	-	(481,873)	(575,186)	(30,569)	(9,266)	(1,794)	(18,778)	(1,117,465)
ცვლათა გასულ აქტივებზე	-	-	-	-	-	-	-	-
აკუმულირებული ცვლათა 31-დეკ-2023	-	(989,108)	(4,536,313)	(484,592)	(305,908)	(21,768)	(474,704)	(6,812,393)
საბალანსო ღირებულება 01-იან-2022	61,285	16,636,063	3,037,319	271,608	73,697	9,669	302,905	20,392,546
საბალანსო ღირებულება 31-დეკ-2022	61,285	16,128,828	2,987,245	370,214	58,364	7,053	298,387	19,911,376
საბალანსო ღირებულება 31-დეკ-2023	61,285	15,646,955	3,403,765	556,907	54,988	5,260	332,853	20,062,012

9. სხვა მოთხოვნები

სხვა მოთხოვნები	31-დეკ-2023	31-დეკ-2022
მოთხოვნა რეზიდენტურიდან	949,109	105,729
მოთხოვნები პრეტენზიებით	600,565	543,662
მოთხოვნა იჯარიდან	187,261	131,979
მოთხოვნები სხვადასხვა ორგანიზაციებიდან	14,794	63,264
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	258,646	301,952
სულ სხვა მოთხოვნები	2,010,375	1,146,586

10. კრედიტორული დავალიანება

კრედიტორული დავალიანება	31-დეკ-2023	31-დეკ-2022
სამედიცინო	1,483,767	880,024
მომსახურება	761,334	409,505
სამეურნეო	50,593	32,925
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	37,846	27,508
სხვა ვალდებულებები	89,253	89,253
სულ კრედიტორული დავალიანება	2,422,792	1,439,214

11. მიღებული სესხები

მიღებული სესხები	31-დეკ-2023	31-დეკ-2022
მიღებული სესხი ევროში	5,818,086	4,284,586
ოვერდრაფტი	619,565	170,736
მიღებული სესხი ლარში	1,040,846	148,346
გადასახდელი პროცენტები	16,638	16,638
სულ მიღებული სესხები	7,495,135	4,620,306

კომპანიას 2023 წლის დასაწყისის მდგომარეობით სს საქართველოს ბანკისგან მიღებული აქვს ოვერდრაფტი და 2 სესხი, რომლის საპროცენტო განაკვეთი მერყეობს 6%-10%-მდე. ასევე, ერთი სესხი მიღებული აქვს დაკავშირებული მხარისგან შპს "ლიდერ-ბეთ სლოტი"-სგან 120 000 ლარის ოდენობით, წლიური 18%-იანი განაკვეთით. სესხის ლიმიტი შეადგენს 620 000 ლარს. ამავდროულად, კომპანიას მიღებული აქვს სესხი "საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროსგან.

2023 წელს კომპანიამ დაკავშირებულ მხარე შპს "ლიდერ-ბეთ სლოტი"-თან გააფორმა საკრედიტო ხაზის ხელშეკრულება, რომლის ლიმიტი შეადგენს 750 000 ლარს. ამავდროულად, კომპანიას მიღებული აქვს სესხი შპს "პროდუს ინვესტმენტი"-სგან 542 000 ლარის ოდენობით. აღნიშნულ სესხებზე წლიური საპროცენტო განაკვეთი

მერყეობს 13.93%-18%-მდე. გარდა ამისა, კომპანიამ 2023 წლის მანძილზე საქართველოს ბანკისგან აიღო 2 სესხი ევროში, რომელთა ჯამური საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ეროვნულ ვალუტაში შეადგენს 2,131,555 ლარს.

12. გადასახდელი ხელფასები

გადასახდელი ხელფასები შედგება ადმინისტრაციის, შიდა განყოფილებებში მომუშავე პერსონალისა და ხელშეკრულებით მოწვეულ სპეციალისტებზე გასაცემი ხელფასებისგან. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გადასახდელი ხელფასების თანხა შეადგენს 1,224,846 ლარს, ხოლო 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 1,227,154 ლარს.

13. საგადასახადო ვალდებულება

საგადასახადო ვალდებულება	31-დეკ-2023	31-დეკ-2022
ერთიანი საბაზინო კოდი	774,703	728,283
საპენსიო შენატანი	385,668	208,869
გადასახდელი დღგ	(261)	-
გადასახდელი სამშრომლო გადასახადი	(212,095)	(212,095)
სულ საგადასახადო ვალდებულება	948,015	725,057

14. სხვა ვალდებულება

სხვა ვალდებულება	31-დეკ-2023	31-დეკ-2022
ვალდებულებები საწარმოს პერსონალის წინაშე	259,360	-
პაციენტებისგან მიღებული ავანსები	190,154	190,194
ვალდებულებები სადაზღვეო კომპანიებთან	186,893	321,066
სხვა დარიცხული ვალდებულებები	8,201	7,016
სულ სხვა ვალდებულება	644,608	518,276

15. სანესდებო კაპიტალი

სანესდებო კაპიტალი წარმოადგენს საწარმოს დაფუძნების დოკუმენტაციებში კაპიტალის ნომინალურ თანხას. სანესდებო კაპიტალის მფლობელებს უფლება აქვთ დროდადრო გამოაცხადონ დივიდენდები და უფლებამოსილი იყვნენ კომპანიის დამფუძნებლების შეხვედრებზე პროცენტული წილის შესაბამისად. 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სანესდებო კაპიტალი არის უცვლელი წინა საანგარიშგებო პერიოდთან შედარებით და შეადგენს 4,323,520 ლარს.

16. ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის მფლობელობაში არსებული უძრავი ქონების გადაფასების რეზერვმა შეადგინა 14,182,610 ლარი.

2023 და 2022 წლებში კომპანიას არ მოუხდენია ძირითადი საშუალებების გადაფასება.

17. შემოსავლები სამედიცინო მომსახურებიდან

შემოსავალი სამედიცინო მომსახურებიდან	2023 წელი	2022 წელი
სამედიცინო მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი	13,510,381	6,760,498
კოვიდ პროგრამა	-	3,408,919
სულ შემოსავალი სამედიცინო მომსახურებიდან	13,510,381	10,169,417

18. მედიკამენტები და სხვა დაკავშირებული ხარჯი

მედიკამენტები და სხვა დაკავშირებული ხარჯი	2023 წელი	2022 წელი
მედიკამენტების და სისხლის კომპონენტების დანახარჯი	3,031,683	2,374,279
სხვა სამედიცინო მომსახურებაზე გაწეული ხარჯები	516,867	103,002
სულ მედიკამენტები და სხვა დაკავშირებული ხარჯი	3,548,550	2,477,281

19. შემოსავლები საგანმანათლებლო მომსახურებიდან

შემოსავლები საგანმანათლებლო მომსახურებიდან	2023 წელი	2022 წელი
შემოსავალი სასწავლო პროცესიდან	1,716,155	765,400
სულ შემოსავლები საგანმანათლებლო მომსახურებიდან	1,716,155	765,400

20. სხვა შემოსავლები

სხვა შემოსავლები	2023 წელი	2022 წელი
საქონლის უსასყიდლო მოწოდებიდან მიღებული შემოსავალი	216,301	244,156
შემოსავალი სამედიცინო-კვლევითი პროგრამიდან	27,648	139,819
შემოსავალი შპს რეფერალური დახმარების ცენტრისგან	695	31,099
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	1,397	-
სულ სხვა შემოსავლები	246,041	415,074

21. კომუნალური ხარჯები

კომუნალური ხარჯები	2023 წელი	2022 წელი
ელ. ენერგიის ხარჯი	443,474	403,424
ბუნებრივი გაზის ხარჯი	171,874	179,334
წყლის ხარჯი	107,354	120,111
სამედიცინო ნარჩენების გატანის ხარჯი	49,800	42,000
კომუნიკაციის ხარჯი	24,513	24,543
დასუფთავების ხარჯი	5,311	5,630
სადიზენფექციო მომსახურების ხარჯი	1,005	1,005
სულ კომუნალური ხარჯები	803,331	776,047

22. სხვა ხარჯები

სხვა საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები	2023 წელი	2022 წელი
არასაოპერაციო ზარალი	241,897	102,432
საიჯარო ქირა	89,368	93,768
საერთო ხარჯები	70,794	65,785
საკონსულტაციო ხარჯები	225,015	36,120
ბანკის ხარჯი	75,304	28,561
საყოველთაოს ჯარიმა	110,874	23,659
საწვავის ხარჯი	15,796	11,898
კომპიუტერის ხარჯები	6,734	7,072
დასაბეგრი ხარჯები	14,665	5,500
დაცვის მომსახურება	5,220	5,220

არასაოპერაციო ხარჯები	204	4,957
ავტომატური შენახვის ხარჯი	3,301	4,465
საფოსტო მომსახურება	2,265	843
ინვენტარიზაციის დანაკლისი	-	383
რეკლამის ხარჯები	950	337
წარმომადგენლობითი ხარჯი	13,908	331
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	308	118
სხვა საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები	640	31,696
სულ სხვა საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები	877,244	423,145

23. კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი)

კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი)	2023 წელი	2022 წელი
მოგება საკურსო სხვაობიდან	(29,910)	796,146
ზარალი საკურსო სხვაობიდან	75,023	(29,720)
სულ კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი)	45,113	766,426

24. ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

გადასახადები - საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, ხელმძღვანელობის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისგან, სანარმოს ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ სანარმოს ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

25. ფინანსური რისკის მართვა

კომპანიის რისკის მენეჯმენტის ფუნქციები იწარმოება, ფინანსური, საოპერაციო და იურიდიული რისკების მიხედვით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს საპროცენტო რისკს და სხვა საფასურთან დაკავშირებულ რისკებს), ასევე საკრედიტო რისკებს და ლიკვიდურობასთან დაკავშირებულ რისკებს. ფინანსური რისკის მართვის პირველადი ამოცანაა ჩამოაყალიბოს მისაღები რისკის ლიმიტები და შემდეგ უზრუნველყოს არსებული რისკების ამ ლიმიტების ფარგლებში დარჩენა. საოპერაციო და იურიდიული რისკ მენეჯმენტის ფუნქციები შედგენილია იმაზე გათვლით რომ მოხდეს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორი წარმოება, რათა აცილებული იქნას თავიდან საოპერაციო და იურიდიული რისკები

საბაზრო რისკი

კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკებს, საბაზრო რისკები ჩნდება არა სამუშაო მდგომარეობაში ა) უცხოურ ვალუტებთან მიმართებით ბ) საპროცენტო აქტივებისა და ვალდებულებები მიმართებით გ) ფასიან ქაღალდებთან მიმართებით, ყველა მათგანი დაუცველია ზოგადი და სპეციფიკური საბაზრო ცვალებადობის მიმართ. მენეჯმენტი აწესებს მათთვის მისაღები რისკის შეფასების ლიმიტებს, რისკის მონიტორინგი ხდება ყოველდღიურად, თუმცა ეს მიდგომა ხელს ვერ შეუშლის დანაკარგების მიღებას, როდესაც ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვალებადობის დროს რისკი ამ განსაზღვრულ საზღვრებს გასცდება.

მგრძნობიარობა ქვემოთ დასახელებული საბაზრო რისკების გავლენაზე გამოყოფილია მხოლოდ ერთი ფაქტორის ცვლილებაზე გათვლით, როდესაც სხვა ფაქტორები რჩება მუდმივი. პრაქტიკაში კი მოვლენების ასეთი განვითარება ნაკლებად მოსალოდნელია ცვლილებები ზოგიერთ კოეფიციენტში კორელაციაში ერთმანეთთან, მაგალითად ცვლილებები საპროცენტო განაკვეთში შესაძლებელია კორელაციაში იყოს სავალუტო კურსის ცვლილებებთან

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი, რომ ცვლილებები სავალუტო კურსებში უარყოფითად შეიძლება აისახოს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე. კომპანიას არ აქვს ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში.

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს სავალუტო რისკს ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებში 2023 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

31.12.2023	ლარი	ევრო	სულ
აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	206,917	2	206,918
დებიტორული დავალიანება	6,428,158	-	6,428,158
სხვა მოთხოვნები	2,010,375	-	2,010,375
სულ აქტივები	8,645,450	2	8,645,452
ვალდებულებები			
კრედიტორული დავალიანება	2,422,792	-	2,422,792
გადასახდელი ხელფასები	1,224,846	-	1,224,846
სხვა ვალდებულება	454,454	-	454,454
მიღებული სესხები	1,677,049	5,818,086	7,495,135
სულ ვალდებულებები	5,779,141	5,818,086	11,597,226
31.12.2022	ლარი	ევრო	სულ
აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	21,198	552,303	573,501
დებიტორული დავალიანება	5,367,569	-	5,367,569
სხვა მოთხოვნები	1,146,586	-	1,146,586
სულ აქტივები	6,535,353	552,303	7,087,657
ვალდებულებები			
კრედიტორული დავალიანება	1,439,214	-	1,439,214
გადასახდელი ხელფასები	1,227,154	-	1,227,154
სხვა ვალდებულება	328,082	-	328,082
მიღებული სესხები	335,720	4,284,586	4,620,306
სულ ვალდებულებები	3,330,170	4,284,586	7,614,755

მგრძნობელობის ანალიზი

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში მოცემულია ევროსთან მიმართებაში ლარის კურსის შესაძლო ცვლილების გავლენა წმინდა მოგებაზე, სხვა ფაქტორების უცვლელობის გათვალისწინებით:

თანხები მოცემულია ლარში	31-დეკ-2023	31-დეკ-2022
	ევრო	ევრო
10%-იანი გაუფასურება	(581,808)	(373,228)
10%-იანი გამყარება	581,808	373,228

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ კომპანია ვერ შეძლებს მის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულების გასტუმრებას. კომპანიას აქვს ყოველდღიური მოთხოვნები მის ფულად რესურსებზე. მენეჯმენტი აკონტროლებს კომპანიის ფულადი ნაკადების უწყისი ყოველთვიურ ბიუჯეტს და ახდენს მის პროგნოზირებას.

კომპანიის ლიკვიდურობის პორტფელი მოიცავს ფულს და ფულის ექვივალენტებს (შენიშვნა 5) მენეჯმენტი ადგენს ფულის და საბანკო დეპოზიტების დაახლოებით ლიკვიდურობის პორტფელს გარდა შემოღებული თანხებისა რომელთა გამოყენებაც შეიძლება ერთი დღის მანძილზე რათა მოხდეს წინასწარ განუსაზღვრელი ლიკვიდურობის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

ქვემოთ მდებარე ცხრილში მოყვანილია კომპანიის ვალდებულებები 2023 და 2022 წლების მდგომარეობით დარჩენილი საკონტრაქტო ღირებულებით. თანხები, რომლებიც მოცემულია ვადების ცხრილში წარმოადგენს საკონტრაქტო არადისკონტირებულ ფულად ნაკადებს. ამგვარი არადისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოცემული ნაშთებისგან, რადგან იქ ნაშთები წარმოდგენილია დისკონტირებული ღირებულებით. ფინანსური ვალდებულებების ვადების ანალიზი 31 დეკემბრისთვის 2023-2022 წლებში მოცემულია ქვემოთ:

31.12.2023	1 წლამდე	1 - 5 წელი	ჯამი
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტი	206,918	-	206,918
დებიტორული დავალიანება	6,428,158	-	6,428,158
სხვა მოთხოვნები	2,010,375	-	2,010,375
სულ ფინანსური აქტივები	8,645,452	-	8,645,452
კრედიტორული დავალიანება	2,422,792	-	2,422,792
გადასახდელი ხელფასები	1,224,846	-	1,224,846
მიღებული სესხები	1,408,703	6,086,432	7,495,135
სხვა ვალდებულება	454,454	-	454,454
სულ ფინანსური ვალდებულებები	5,510,795	6,086,432	11,597,227
წმინდა ლიკვიდურობის პოზიცია	3,134,657	(6,086,432)	(2,951,775)
31.12.2022	1 წლამდე	1 - 5 წელი	ჯამი
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტი	573,501	-	573,501
დებიტორული დავალიანება	5,367,569	-	5,367,569
სხვა მოთხოვნები	1,146,586	-	1,146,586
სულ ფინანსური აქტივები	7,087,657	-	7,087,657
კრედიტორული დავალიანება	1,439,214	-	1,439,214
გადასახდელი ხელფასები	1,227,154	-	1,227,154
მიღებული სესხები	307,374	4,312,932	4,620,306
სხვა ვალდებულება	328,082	-	328,082
სულ ფინანსური ვალდებულებები	3,301,824	4,312,932	7,614,756
წმინდა ლიკვიდურობის პოზიცია	3,785,833	(4,312,932)	(527,099)

26. კაპიტალის მართვა

კომპანიას კაპიტალური მართვისთვის ფორმალური პოლიტიკა არ გააჩნია, მაგრამ მენეჯმენტი ცდილობს შეინარჩუნოს საკმარისი კაპიტალის ბაზა კომპანიის საქმიანობისა და სტრატეგიული საჭიროებების დასაკმაყოფილებლად და ბაზრის მონაწილეთა ნდობის შესანარჩუნებლად.

კომპანია ახორციელებს თავის კაპიტალურ სტრუქტურას და ახდენს ცვლილებებს ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებებისა და საქმიანობის თავისებურებების გათვალისწინებით. კაპიტალის სტრუქტურის შესანარჩუნებლად ან შესაცვლელად, კომპანიას შეუძლია შეცვალოს აქციონერთათვის დივიდენდის გადახდა ან აქციონერთათვის კაპიტალის დაბრუნება ან გაზარდოს სანესდებო კაპიტალი.

27. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ზოგიერთი აქტივისა და ვალდებულებებისთვის მოითხოვება რეალური ღირებულების გამოყენება. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულების შეფასებისთვის კომპანია იყენებს ხელმისაწვდომ საბაზრო მონაცემებს. რეალური ღირებულების შეფასებას კომპანია ახდენს შემდეგი ინფორმაციის საფუძველზე:

დონე 1: აქტიურ ბაზარზე იდენტიური ერთეულის კოტირებული ფასების გამოყენებით (არაკორექტირებული);

დონე 2: თუ ასეთი ფასი არ არსებობს, სხვა პირდაპირ ან არაპირდაპირი ემპირიული მონაცემების მიხედვით, როგორცაა ისეთი ბაზრის კოტირებული ფასი, რომელიც არ არის აქტიური იმ იდენტიური ერთეულისათვის, რომელსაც სხვა მხარე ფლობს, როგორც აქტივს;

დონე 3: არასაბაზრო მონაცემების საფუძველზე. თუ პირველ და მეორე დონეებში აღწერილი ემპირიული ფასები არ არსებობს, მაშინ ხდება შეფასების სხვა მეთოდების გამოყენება.

რეალური ღირებულების კლასიფიკაცია დონეებად დამოკიდებულია გამოყენებული ინფორმაციის დონეზე და რეალური ღირებულების გაანგარიშებაში მის მნიშვნელობაზე. დონეებს შორის გადატანა აისახება იმ პერიოდში, როდესაც ადგილი აქვს ასეთ მოვლენას.

რეალური ღირებულება არის ის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. კომპანია ფინანსური ინსტრუმენტების სავარაუდო რეალურ ღირებულებას განსაზღვრავს ხელმისაწვდომი საბაზრო ინფორმაციის საფუძველზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში და სათანადო შეფასებების მეთოდების გამოყენებით. სამართლიანი ღირებულების დასადგენად, საბაზრო მონაცემების ინტერპრეტაციისთვის განსჯის გამოყენებაა საჭირო. საქართველო კვლავ ავლენს განვითარებადი ბაზრისათვის დამახასიათებელ ნიშნებს და ეკონომიკური პირობები ისევ ზღუდავს ფინანსურ ბაზრებზე საქმიანობის მოცულობას. საბაზრო კოტირებები შეიძლება მოქველდებული იყოს, იძულებითი რელიზაციის გარიგებებს ასახავდეს და ამიტომ არ წარმოადგენდეს ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიან ღირებულებას. კომპანია ყველა არსებულ საბაზრო ინფორმაციას იყენებს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შესაფასებლად.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება დგინდება იდენტიურ ფინანსურ ინსტრუმენტებზე პირველადი აღიარების დროს დაფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთსა და მიმდინარე საპროცენტო განაკვეთების შედარების შედეგად. ფიქსირებული განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება გამომდინარეობს ფულადი სახსრების ნაკადის ღირებულებიდან, რომელიც დისკონტირებულია ფულის ბაზრის მიმდინარე იმ საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, რომელიც დამახასიათებელია მსგავსი საკრედიტო რისკისა და ვადიანობის ფინანსური ინსტრუმენტებისთვის. კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება, რომელიც არის ლიკვიდური და ხასიათდება მეტწილად მოკლევადიანობით, ან აქვს მცოცავი საპროცენტო განაკვეთი, უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას.

28. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია ბასს 24 სტანდარტით – „მნიშვნელოვანი დაკავშირებული მხარეების შესახებ“ წარმოადგენს:

- მხარეები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად, ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანაფლობილები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;

- პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივ საწარმო.

- ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;

- კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი;

- ოჯახის ახლო წევრები;

- მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად;

- დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

კომპანიას დაკავშირებული მხარისგან მიღებული აქვს სესხი ლარში, რომლის საბალანშო 2023 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით არის 350,000 ლარი, წლიური 18%-იანი საპროცენტო განაკვეთით.

მშობელი კომპანია და საბოლოო მაკონტროლებელი მხარე

კომპანიის მფლობელი არის შპს ჰიპოკრატე, რეგისტრირებული საქართველოში. იგი არის კომპანიის პირდაპირი და საბოლოო მშობელი კომპანია. კომპანიაზე საბოლოო კონტროლის მქონე მხარე არის ქართლოს ღიასამიძე.

შემდგომი ოპერაციები განხორციელდა დაკავშირებულ მხარეებთან:

	31-დეკ-2023	31-დეკ-2022
მენეჯმენტის ანაზღაურება და სხვა სარგებელი	1,244,880	980,098
სულ	1,244,880	980,098

29. საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშები მომზადდა განგრძობითი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, რაც ნიშნავს იმას, რომ კომპანია შეძლებს, დააკმაყოფილოს საკრედიტო მომსახურების დაფარვის პირობები.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მენეჯმენტი განიხილავს საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რათა დარწმუნდეს, რომ ფინანსური ანგარიშგების წარდგენა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე სამართლიანია. მენეჯმენტი მიიჩნევს და დარწმუნებულია, რომ კომპანიის უწყვეტ ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება და არც თვითონ აქვს კომპანიის ლიკვიდაციის ან საქმიანობის მნიშვნელოვანი შეზღუდვის გეგმები.

30. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

საანგარიშგებო თარიღის შემდგომ არ ყოფილა რაიმე მოვლენა ან ახალი გარემოება, რომელიც მოითხოვდა ამ ფინანსურ ანგარიშგებაში ციფრების შეცვლას ან დამატებით ინფორმაციის გამჟღავნებას.

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 30 სექტემბერს.

შპს „წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის
მრავალპროფილიანი კლინიკური საავადმყოფო“
მმართველობის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

სარჩევი

კომპანიის პროფილი და მუშაობის შედეგები	3
საქმიანობის მიმოხილვა	3
ორგანიზაციის სტრუქტურა	4
კომპანიის გასული პერიოდის შედეგები და სამომავლო გეგმები	5
კომპანიის გარემო	6
კონკურენციის შეზღუდულობა	6
თანაბარი ხელმისაწვდომობის პრინციპი	6
ძირითადი რისკები და გაურკვევლობები	7

კომპანიის პროფილი და მუშაობის შედეგები

საქმიანობის მიმოხილვა

შპს „წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის მრავალპროფილიანი კლინიკური საავადმყოფო“ (შემდგომში „კლინიკა“/„კომპანია“), წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, ს/ნ 202901832, მისამართი: საქართველო, ქ. თბილისის, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი, ლუბლიანას ქ. #33. კლინიკის წილის 100%-ის მფლობელს წარმოადგენს შპს „ჰიპოკრატე“ ს/ნ 404919406.

კლინიკის საქმიანობას წარმოადგენს მრავალპროფილური სამედიცინო მომსახურება და უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტთა შემდგომი გადამზადება.

კომპანიის სამედიცინო მომსახურებიდან მიღებული შემოსავლები შემდეგნაირად გამოიყურება:

- კარდიოლოგიური პათოლოგიების მქონე პაციენტთა მკურნალობიდან მიღებული შემოსავლები;
 - ქირურგიული (ზოგადი ქირურგია, ნეიროქირურგია, ყბა-სახის ქირურგია, კარდიოქირურგია, ტრავმატოლოგია, სისხლძარღვთა ქირურგია, ონკოქირურგია) პათოლოგიების მქონე პაციენტთა მკურნალობიდან მიღებული შემოსავლები;
 - გინეკოლოგიური პათოლოგიების მქონე პაციენტთა მკურნალობიდან მიღებული შემოსავლები;
 - ნევროლოგიური პათოლოგიების მქონე პაციენტთა მკურნალობიდან მიღებული შემოსავლები;
 - თერაპიული პათოლოგიების მქონე პაციენტთა მკურნალობიდან მიღებული შემოსავლები;
 - ტოქსიკოლოგიური მონაშვლის პათოლოგიების მქონე პაციენტთა მკურნალობიდან მიღებული შემოსავლები;
 - ინტენსიური ზედამხედველობის საჭიროების მქონე პაციენტების მკურნალობიდან მიღებული შემოსავლები;
 - გადაუდებელი დახმარების საჭიროების მქონე პაციენტების მკურნალობიდან მიღებული შემოსავლები;
 - პაციენტთა დიაგნოსტიკიდან (კლინიკო-ბიოქიმიური და ინსტრუმენტარული კვლევები) მიღებული შემოსავლები;
- სამედიცინო მომსახურება წარმოებს როგორც სტაციონარული, ასევე ამბულატორიული ფორმით.

კლინიკაში 2023 წლის განმავლობაში დასაქმებული იყო 539 ადამიანი. დასაქმებულთა შორის არიან:

- სხვადასხვა პროფილის ექიმები (კანონმდებლობით გათვალისწინებული საქმიანობის ნებართვით);
- საშუალო მედპერსონალი, ექთნები და ექთნის დამხმარეები (კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი განათლებით);
- უმცროსი ექიმები (კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი განათლებით);
- დამხმარე პერსონალი (ადმინისტრაციის თანამშრომლები, ტექნიკური პროფილის მქონე პერსონალი, სანიტრები და სხვა).

კომპანია ახორციელებს სხვა ტიპის ეკონომიკურ საქმიანობასაც, როგორცაა ფართების იჯარით გაცემა და მედიკამენტების რეალიზაცია.


შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება ხორციელდება კლინიკაში დამტკიცებული ტარიფებისა და სხვადასხვა დამფინანსებელ ორგანიზაციებთან გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად. კლინიკაში მოქმედი ტარიფები შედგენილია შიდა სამედიცინო სტანდარტების საფუძველზე გასანგვი ხარჯების შესაბამისად. შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება ხორციელდება პაციენტის, სადაზღვევო ორგანიზაციების, სამინისტროებისა და სხვა სახელმწიფო სტრუქტურების მიერ.

შემოსავლების მხრივ მსხვილი დამფინანსებელია სსიპ „ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტო“, რომელიც შესრულებულ სამუშაოს კლინიკას უნაზღაურებს საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის დადგენილების („საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“) პირობების შესაბამისად, ამასთან კომპანია თანამშრომლობს კერძო სადაზღვევო კომპანიებთანაც.

კლინიკის ძირითად მარეგულირებელ ორგანოს წარმოადგენს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო,

ასევე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო (რადიაციული უსაფრთხოების კუთხით).

ორგანიზაციის სტრუქტურა



კომპანიის გასული პერიოდის შედეგები და სამომავლო გეგმები

კლინიკის შემოსავლების დინამიკა მოცემულია ცხრილის სახით:

	2023 წ	2022 წ
შემოსავლები სამედიცინო მომსახურებიდან	13,510,381	10,169,417
საიტარო შემოსავლები	186,713	96,288
შემოსავლები რეზიდენტურიდან	1,716,155	765,400
სხვა შემოსავლები	246,041	415,074
სულ შემოსავლები	15,659,290	11,446,179

ხელმძღვანელობა მართავს საკუთარ ლიკვიდურობას და საოპერაციო საქმიანობას. კომპანიის ხელმძღვანელობას არ გააჩნია ინფორმაცია, რომელმაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის გაგრძელების უნარი როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ.

რა ღონისძიებები გატარდა 2023 წელს:

- კომპანიის ყველა სამედიცინო პერსონალის სახელფასო სარგოს (მათ შორის, ფიქსირებული ხელფასი და მორიგების თანხები, რომელიც არაპირდაპირი ხარჯებიდან გაიცემოდა) დაანგარიშება და გაცემა ხორციელდება შესაბამისი განყოფილებების ფონდის პირდაპირი ხარჯიდან;

უმოკლეს ვადებში კლინიკა გეგმავს დამატებით შემდეგი ღონისძიებების გატარებას:

- ❖ განხორციელდეს ფიქსირებული ხარჯების შემცირება, მათ შორის სტრუქტურული რეორგანიზაციის საფუძველზე;
- ❖ გაარემონტოს საოპერაციო და რეანიმაციის ბლოკის ოთახები;
- ❖ მოქმედი რეგულაციების გათვალისწინებით დამატებით შეიძინოს სამედიცინო აპარატურა

კომპანიის გარემო

კონკურენციის შეზღუდულობა

მედიცინა შემოქმედებითი პროცესია, რომელიც არ არსებობს ერთგვაროვანი სახით. ჯანდაცვის სფეროში სამედიცინო მომსახურების თითოეული სახე არაერთგვაროვან პროდუქტს წარმოადგენს. სამედიცინო მომსახურების ხარისხი ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ ვინ და რა პირობებში აწვდის მას. ერთიდაიგივე დაავადებას სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებაში განსხვავებული მეთოდებით მკურნალობენ. სხვადასხვა

დანესებულებების შესაძლებლობები (სადიაგნოზო მოწყობილობები, სპეციალისტების კვალიფიკაციის დონე). ავადმყოფს, რომელიც გეგმიურ ოპერაციას სამხარეო საავადმყოფოში იტარებს, შედარებით ნაკლები რისკი აქვს ვიდრე ავადმყოფს, რომელსაც გადაუღებელი ოპერაცია უტარდება რაიონულ საავადმყოფოში. შედეგად, სამედიცინო დანესებულებები სამედიცინო დახმარების გარკვეულ სახეებზე გვევლინებიან როგორც მონოპოლისტები.

ჯანდაცვის სისტემაში შეზღუდული კონკურენციის მიზეზებია:

- ❖ სამედიცინო ბაზარზე შესვლა შეზღუდულია;
- ❖ სამედიცინო ბაზარზე კონკურენტთა მცირე რაოდენობა;
- ❖ სამედიცინო ბაზარზე სამედიცინო მომსახურების მიწოდების იერარქიული სისტემა;
- ❖ სამედიცინო მომსახურების მრავალ სახეს არ გააჩნია მისი შემცველელი;
- ❖ სამედიცინო დახმარება არაერთგვაროვან პროდუქტს წარმოადგენს.

კონკურენტუნარიანი ბაზრის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა ბაზარზე თავისუფალი შესვლა. მყიდველებსა და გამყიდველებს ნებისმიერ დროს მინიმალური დანახარჯებით შეუძლიათ ბაზარში შესვლა და მისი დატოვება. სამედიცინო ბაზარზე შესვლა შეზღუდულია, რაც ამცირებს კონკურენტების რაოდენობას. სამედიცინო ბაზარზე შესვლის ბარიერს წარმოადგენს სახელმწიფო ლიცენზირება, კერძოდ, სამედიცინო პერსონალის რეგისტრაციისა და ლიცენზირების განსაკუთრებული წესები. ლიცენზირებას გამოიყენებენ დაბალი კვალიფიკაციის მიმწოდებლების სამედიცინო ბაზარზე შესვლის პრევენციის მიზნით. სამედიცინო პრაქტიკის უფლება აქვს მხოლოდ ექიმებს, რომელთა განათლების დონე პასუხობს დადგენილ მოთხოვნებს.

სამედიცინო ბაზარზე კონკურენციას ზღუდავს სამედიცინო დახმარების მიწოდების იერარქიული სისტემა. საავადმყოფოთა ქსელი აგებულია სტაციონარული დახმარების დონეებად დაყოფის პრინციპით, ანუ სტაციონარული ტიპის სამედიცინო დანესებულებები დიფერენცირებულია დონეების მიხედვით, კერძოდ, ჰოსპიტალური მომსახურების შემდეგი დონეები არსებობს: დღის სტაციონარი, რაიონული საავადმყოფო, სამხარეო საავადმყოფო, სპეციალიზირებული საავადმყოფო, პროფილური სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, კლინიკური საავადმყოფო. ჰოსპიტალურ შემთხვევათა შედარებით იოლი ფორმების კონცენტრირება ხდება რაიონულ საავადმყოფოებში, რომლებიც პაციენტის საცხოვრებელი ადგილის ახლოს არიან განთავსებულნი. უფრო რთული შემთხვევების მკურნალობა ხორციელდება სამხარეო და რესპუბლიკურ საავადმყოფოებში. აღნიშნული დონეები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან აღჭურვილობითა და პერსონალის კვალიფიკაციით. ცხადია, სტაციონარული სამედიცინო დახმარების ასეთი იერარქიული სისტემა და შესაბამისად დონეების მიხედვით ერთმანეთისაგან განსხვავებული საავადმყოფოების არსებობა მნიშვნელოვნად ამცირებს მათ შორის რეალური კონკურენციის შესაძლებლობას.

თანაბარი ხელმისაწვდომობის პრინციპი

ჩვეულებრივ, ბაზარზე მომხმარებელი თავისი შესაძლებლობის მიხედვით განსაზღვრავს ამა თუ იმ საქონლის ყიდვას. განსხვავებული მდგომარეობაა სამედიცინო ბაზარზე. სამედიცინო დახმარების გაწევა ადამიანის სიცოცხლისათანა დაკავშირებული და იგი მომხმარებლის (პაციენტის) გადახდისუნარიანობაზე ნაკლებად უნდა იყოს დამოკიდებული.

რესურსების განაწილების საბაზრო მექანიზმის კორექციის აუცილებლობა განპირობებულია იმ გარემოებითაც, რომ სამედიცინო მომსახურებაზე მოთხოვნა უფრო მეტია მოსახლეობის ღარიბ ფენებში. სამედიცინო მომსახურებაზე დაბალშემოსავლიანი პირების გაზრდილი მოთხოვნილება განპირობებულია მათი არადაამაკმაყოფილებელი საყოფაცხოვრებო და სამუშაო პირობებით, რაც უარყოფითად მოქმედებს ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. ასევე, ცნობილია, რომ მძიმე დაავადება და მკურნალობაზე გასაწევი ხარჯები მრავალი ადამიანის სიღარიბის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი შეიძლება გახდეს.

ჯანდაცვაში თანაბარი ხელმისაწვდომობის მიღწევის მთავარ პრინციპს წარმოადგენს საზოგადოებრივი სოლიდარობა: მდიდარი იხდის ღარიბისთვის, ჯანმრთელი – ავადმყოფისთვის ხოლო ახალგაზრდა – მოხუცისთვის. სოლიდარობის პრინციპის განხორციელებაში სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი როლი უჭირავს.

აღნიშნული ფაქტორების აღმოსაფხვრელად ჯანდაცვის სისტემა სამართლიანობის და თანაბარი ხელმისაწვდომობის პრინციპებზე უნდა იყოს დაფუძნებული:

სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფა ნაკლებად უნდა იყოს დამოკიდებული პაციენტის გადახდისუნარიანობაზე;

მოსახლეობის ყველა ფენა თანაბრად უნდა იყოს უზრუნველყოფილი სამედიცინო მომსახურების მაღალი ხარისხის სტანდარტებით, მიუხედავად სოციალური, ეთნიკური, სქესობრივი და ასაკობრივი განსხვავებისა;

საჭიროა ჯანდაცვის სისტემის ძირითადი ფასეულობების, სამართლიანობის საკითხების იდენტიფიცირება, მის შესრულებაზე ზედამხედველობის უზრუნველყოფა.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

კომპანიის წინაშე არსებული ძირითადი რისკები და გაურკვევლობები შემდეგნაირად გამოიყურება:

კომპანია მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული სახელმწიფოსაგან მიღებულ შემოსავალზე. სახელმწიფომ შესაძლოა დააგვიანოს თანხების ჩარიცხვა საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში. შემცირებულმა ტარიფებმა და გადახდის ვადის გაზრდამ შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა იქონიოს შემოსავალსა და მომგებიანობაზე. კომპანია ამ რისკის შემცირებას ცდილობს და დაწყებული აქვს მუშაობა შემოსავლების დივერსიფიკაციასა და სხვადასხვა სერვისების რაოდენობის გაზრდაზე.

კომპანია ოპერირებს ბიზნესგარემოში, რომელიც საკმაოდ მკაცრად რეგულირდება სხვადასხვა სახის რეგულაციებითა და კანონებით. ამ რეგულაციების დარღვევა ან კანონებთან შეუსაბამობაში ყოფნა გამოიწვევს მნიშვნელოვან ფინანსურ ზარალს ჯარიმების სახით და უარყოფითი ეფექტი ექნება კომპანიის რეპუტაციაზე. ამ რისკის შემცირების მიზნით ჩვენ ვცდილობთ, კონსტრუქციულ დიალოგში შევიდეთ სახელმწიფო ორგანოებთან და სადაც შესაძლებელია ვცდილობთ, გარე რჩევებისა და რეკომენდაციების მიღებას მოსალოდნელ ცვლილებებზე საკანონმდებლო სისტემაში.

კომპანიაში განერილია სხვადასხვა პროცედურები და კონტროლები, რათა კომპანიამ კეთილსინდისიერად შეასრულოს დაკისრებული მოვალეობები და რეგულაციებთან შესაბამისობაში იყოს. კომპანიის იურიდიული დეპარტამენტი მონაწილეობს ყველა მატერიალური ხელშეკრულებისა თუ კონტრაქტის გაფორმების პროცესში, ფინანსურ დეპარტამენტთან არსებული საგადასახადო აღრიცხვის განყოფილება კი მუდმივად თვალს ადევნებს ცვლილებებს საგადასახადო კანონმდებლობაში.

კომპანიის წარმატება დამოკიდებულია მის უნარზე მიიზიდოს და შეინარჩუნოს პროფესიონალი ექიმები და სხვა პროფესიონალები. თუ ჩვენ ვერ შევძლებთ წარმატებით შევასრულოთ ეს ფუნქცია, კომპანიის განვითარება, შეთავაზებული სერვისების ხარისხი და რეპუტაცია საფრთხის წინაშე იქნება. რისკს ზრდის ისიც, რომ ქვეყანაში მაღალკვალიფიციური ექიმების, მედლებისა და სხვა პროფესიონალების ნაკლებობაა. სწორედ ამიტომ, ჩვენთვის პრიორიტეტულია ეს საკითხი და კომპანია ბევრ რესურსსა და ენერგიას ხარჯავს ამ მიმართულებით.

დღეს არსებული წესის მიხედვით, სამედიცინო მომსახურებაზე ანაზღაურება წარმოებს დადგენილი ტარიფით ან ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს მიხედვით. ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს დაანგარიშებისას გამოიკვეთა არაპირდაპირი ხარჯის დაანგარიშების ხარვეზები, კერძოდ არის აზრთა სხვადასხვაობა თუ რა ტიპის ხარჯი უნდა შევიდეს არაპირდაპირი ხარჯებში. დღემდე არ არსებობს ნორმატიული აქტი, რომელიც ცალსახად განსაზღვრავს არაპირდაპირი ხარჯში შესაყვან კატეგორიებს, რაც იწვევს გაურკვევლობას მიღებულ ან მისაღებ შემოსავლებში.

ჩვეულებრივი ბაზრის ერთ-ერთი პირობაა მომხმარებლის გარკვეულობა. ჩვეულებრივ ბაზარზე მომხმარებელი თავისი შესაძლებლობის მიხედვით განსაზღვრავს თუ როდის, სად და რა ფასად იყიდოს საქონელი. სამედიცინო ბაზარზე, ხშირ შემთხვევებში, წინდანინ არაფერ იყის თუ როდის წარმოიშობა სამედიცინო მომსახურებაზე მოთხოვნა და მიწოდება. მისი წარმოქმნა სავარაუდო ხასიათს ატარებს. მომხმარებლებისათვის გაურკვეველია მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა და სამედიცინო მომსახურების საჭიროება დროის ნებისმიერ პერიოდში. მას არ შეუძლია რაციონალურად დაგეგმოს სამედიცინო მომსახურების ხარჯები, რომლის მოცულობა შესაძლებელია მნიშვნელოვანს შეადგენდეს, მისი საჭიროების დადგომის დროს.

გაურკვეველობა ასევე შეინიშნება სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლების მხარესაც. პაციენტებს ექიმების რჩევის გარეშე არ შეუძლიათ განსაზღვრონ არც სამედიცინო მომსახურების საჭიროება და არც მათი მკურნალობის მოსალოდნელ შედეგებზე იყიან რაიმე. ექიმებს არ შეუძლიათ იწინასწარმეტყველონ, თუ რა იქნება მათ მიერ ჩატარებული მკურნალობის შედეგი.

გარდა ამისა, რადგან სამედიცინო ბაზარზე სამედიცინო მომსახურების უდიდესი ნაწილი ფინანსდება მესამე მხარის (სადაზღვევო კომპანია ან სახელმწიფო) მიერ და პირდაპირი კავშირი მყიდველსა და გამყიდველს შორის არ არსებობს, “ფასი” სულ უფრო გაურკვეველია და ნაკლებად შეესაბამება ჩვეულებრივ ბაზარზე მყიდველსა და გამყიდველს შორის გარიგებით მიღწეულ ფასს. სამედიცინო მომსახურების ფასი უფრო ნდობისა და სამედიცინო პერსონალის პროფესიული ქცევის უწყვეტ ურთიერთობებს ემყარება.

ამრიგად, გაურკვეველობა ჯანდაცვის სფეროს გამოკვეთილი მახასიათებელია, რაც განასხვავებს მას ჩვეულებრივი ბაზრისაგან და შესაბამისად, ზრდის სახელმწიფოს როლს ჯანდაცვის სისტემის რეგულირების თვალსაზრისით.

დირექტორი:

გიორგი გოგოლაძე

შპს „წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის
მრავალპროფილიანი კლინიკური საავადმყოფო“

თარიღი: 30 სექტემბერი 2024 წელი

*** ბოლო გვერდი ***

შპს „წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის მრავალპროფილიანი კლინიკური საავადმყოფო“
2023 წლის მმართველობის ანგარიშგება

ჩვეულებრივი ბაზრის ერთ-ერთი პირობაა მომხმარებლის გარკვეულობა. ჩვეულებრივ ბაზარზე მომხმარებელი თავისი შესაძლებლობის მიხედვით განსაზღვრავს თუ როდის, სად და რა ფასად იყიდოს საქონელი. სამედიცინო ბაზარზე, ხშირ შემთხვევებში, წინდანი არაა იცის თუ როდის წარმოიშობა სამედიცინო მომსახურებაზე მოთხოვნა და მიწოდება. მისი წარმოქმნა სავარაუდო ხასიათს ატარებს. მომხმარებლებისათვის გაურკვეველია მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა და სამედიცინო მომსახურების საჭიროება დროის ნებისმიერ პერიოდში. მას არ შეუძლია რაციონალურად დაგეგმოს სამედიცინო მომსახურების ხარჯები, რომლის მოცულობა შესაძლებელია მნიშვნელოვანს შეადგენდეს, მისი საჭიროების დადგომის დროს.

გაურკვეველობა ასევე შეინიშნება სამედიცინო მომსახურების მიწოდებლების მხარესაც. პაციენტებს ექიმების რჩევის გარეშე არ შეუძლიათ განსაზღვრონ არც სამედიცინო მომსახურების საჭიროება და არც მათი მკურნალობის მოსალოდნელ შედეგებზე იციან რაიმე. ექიმებს არ შეუძლიათ იწინასწარმეტყველონ, თუ რა იქნება მათ მიერ ჩატარებული მკურნალობის შედეგი.

გარდა ამისა, რადგან სამედიცინო ბაზარზე სამედიცინო მომსახურების უდიდესი ნაწილი ფინანსდება მესამე მხარის (სადაზღვევო კომპანია ან სახელმწიფო) მიერ და პირდაპირი კავშირი მყიდველსა და გამყიდველს შორის არ არსებობს, "ფასი" სულ უფრო გაურკვეველია და ნაკლებად შეესაბამება ჩვეულებრივ ბაზარზე მყიდველსა და გამყიდველს შორის გარიგებით მიღწეულ ფასს. სამედიცინო მომსახურების ფასი უფრო ნდობისა და სამედიცინო პერსონალის პროფესიული ქცევის უწყვეტ ურთიერთობებს ემყარება.

ამრიგად, გაურკვეველობა ჯანდაცვის სფეროს გამოკვეთილი მახასიათებელია, რაც განასხვავებს მას ჩვეულებრივი ბაზრისაგან და შესაბამისად, ზრდის სახელმწიფოს როლს ჯანდაცვის სისტემის რეგულირების თვალსაზრისით.

დირექტორი:

გიორგი გოგოლაძე



შპს „წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის
მრავალპროფილიანი კლინიკური საავადმყოფო“

თარიღი: 30 სექტემბერი 2024 წელი

*** ბოლო გვერდი ***